კომპანიონ ცხოველთა მართვის საერთაშორისო კოალიცია – ICAM Coalition

ძაღლების პოპულაციის ჰუმანური მართვის სახელმძღვანელო

RSPCA International

IFAW International Fund for Animal Welfare

HUMANE SOCIETY INTERNATIONAL

ARC

WSPA World Society for the Protection of Animals

Human Dogs Population Managment Guidance
ICAM Coalition

ქართულად ადაპტირებული ვერსია

სარედაქციო ჯგუფი: მანანა ბუაჩიძე, დიმიტრი მანჯავიძე,
თინათინ ჭავჭანიძე, მაია ხეჩინაშვილი

© ცხოველთა უფლებების კომიტეტი, Animal Rights Committee (ARC)

ISBN ……..

თბილისი, 2014

შესავალი 4

კოალიცია ICAM 4
ვისთვისაა განკუთვნილი ეს სახელმძღვანელო 4
საკითხის განსაზღვრა 5
ტერმინოლოგია 7
დეფინიცია 8
შინაარსის სტრუქტურა 9

A. მონაცემების შეგროვება და შეფასება 10

ძაღლების ადგილობრივი პოპულაციის შეფასება 10
მრავალმხრივი კომიტეტის შექმნა 11

B. ძაღლების პოპულაციის მართვაზე გავლენის მქონე ფაქტორები 12

პოპულაციის სიდიდეზე გავლენის მქონე ფაქტორები 12
ძაღლების პოპულაციაზე კონტროლის დაწესების შემაგულიანებელი ფაქტორები 16

C. ძაღლების პოპულაციის მართვის პროგრამის კომპონენტები 19

განათლება 20
კანონმდებლობა 22
რეგისტრირება და იდენტიფიცირება 23
სტერილიზაცია და კონტრაცეპცია 24
თავშესაფრები და „გაშვილების“ ცენტრები 26
ევთანაზია 28
ვაქცინაცია და პარაზიტების კონტროლი 29
რესურსების ხელმისაწვდომობის კონტროლი 30

D. ინტერვენციის მომზადება 31

გრძელვადიანი ეფექტის დაგეგმარება 31
მიზნები, ამოცანები და საქმიანობა 32
ცხოველთა კეთილდღეობის სტანდარტების ჩამოყალიბება 33

E. პროგრამის დანერგვა, მონიტორინგი და შეფასება 35

ანხორციელება 35
მონიტორინგი და შედეგების განხილვა 35

დანართი A: ძაღლების პოპულაციის მართვის მოთხოვნილების შეფასების ინსტრუმენტები 36

დანართი B: დაინტერესებულ მხარეთა კომიტეტის შექმნა 39

კოალიცია ICAM

კომპანიონ ცხოველთა მართვის საერთაშორისო კოალიცია (ICAM Coalition) აერთიანებს შემდეგ ორგანიზაციებს: ცხოველთა დაცვის მსოფლიო საზოგადოება (WSPA), საერთაშორისო ჰუმანური საზოგადოება (IHS), ცხოველთა კეთილდღეობის საერთაშორისო ფონდი (IFAW), სისასტიკისგან ცხოველთა დაცვის სამეფო საზოგადოების საერთაშორისო განყოფილება (RSPCA International), ცხოველთა კეთილდღეობის საუნივერსიტეტო ფედერაცია (UFAW), მცირე ზომის ცხოველთა მსოფლიო ვეტერინარული ასოციაცია (WSAVA) და ცოფის კონტროლის ალიანსი (ARC).

ამ ჯგუფის შექმნა ემსახურება რამდენიმე მიზანს, მათ შორის, კომპანიონ ცხოველთა პოპულაციის დინამიკის შესახებ ინფორმაციისა და მოსაზრებების გაცვლას, რაც, საბოლოო ჯამში, უზრუნველყოფს წევრი ორგანიზაციების მიერ შემუშავებული რეკომენდაციების მეშვეობით სახელმძღვანელოს შემდგომ დახვეწას და მათი საქმიანობის კოორდინირებას. ყველა მონაწილე ორგანიზაციის აზრით უაღრესად მნიშვნელოვანია თანამშრომლობის გზით ურთიერთგაგების გაუმჯობესება. როგორც დამფინანსებელი და მრჩეველი ორგანიზაციები, ჩვენ თავს ვალდებულად ვთვლით, რომ ძაღლების პოპულაციის მართვის სფეროში ადგილებზე მომუშავე ჯგუფებს მიეწოდოს უახლეს მონაცემებსა და კონცეფციებზე დაფუძნებული რეკომენდაციები. მიგვაჩნია, რომ ჩვენი საქმიანობა აუცილებლად უნდა იყოს გამჭვირვალე, ხოლო მოსაზრებები და მიდგომები ფიქსირდებოდეს. სწორედ ამ მიზნით შეიქმნა ეს დოკუმენტი – უახლეს ცოდნაზე დამყარებული რეკომენდაციები, რომელიც შემდგომშიც შეივსება ახალი მონაცემებით. ჩვენ კარგად ვაცნობიერებთ ამ სფეროში ინფორმაციის სიმწირეს და გვსურს, ხელი შევუწყოთ ახალი ფაქტების შეგროვებასა და მათ ასახვას ჩვენ მომავალ დისკუსიებში, შეფასებებსა და ინსტრუქციებში.

ნოემბერი 2007

ვისთვის არის განკუთვნილი ეს სახელმძღვანელო

ეს დოკუმენტი განკუთვნილია სამთავრობო უწყებებისა და არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის, რომლებიც მონაწილეობენ ძაღლების პოპულაციის მართვაში.

ICAM Coalition-ს მიაჩნია, რომ ძაღლების პოპულაციის მართვის პასუხისმგებლობა უმთავრესად ეკისრება ადგილობრივი და/ან ცენტრალური ხელისუფლების ორგანოებს. ცხოველთა დამცველს არასამთავრობო ორგანიზაციებს არ უნდა მოვუწოდოთ და ისინიც არ უნდა ცდილობდნენ, იტვირთონ ძაღლების პოპულაციის მართვის სრული პასუხისმგებლობა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს ხდება კონტრაქტის საფუძველზე, შესაბამისი დაფინანსებითა და რესურსებით. ამავე დროს, ცხოველთა დაცვის არასამთავრობო ორგანიზაციები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ მთავრობის სტრატეგიის წარმართვასა და მხარდაჭერაში, ამდენად აუცილებელია, ამ ორგანიზაციებს ჰქონდეთ ამომწურავი ცოდნა ყოვლისმომცველი სტრატეგიის ყველა კომპონენტის შესახებ. ეს დაეხმარება მათ, მიმართონ ძალისხმევა იქ, სადაც ეს ყველაზე ეფექტურია და ეფექტურადვე გამოიყენონ თავიანთი ლიმიტირებული რესურსები.

მიზანი

როგორც ცხოველთა დაცვის მხარდამჭერს, ICAM Coalition-ს მიაჩნია, რომ როდესაც საჭიროა პოპულაციის მართვა, ეს **აუცილებლად** უნდა ხორციელდებოდეს ჰუმანურად და ემსახურებოდეს ძაღლების პოპულაციის კეთილდღეობის ზრდას. ჩვენ არასამთავრობო ორგანიზაციები ვართ და მიგვაჩნია, რომ ძაღლების პოპულაციის მართვის მეთოდები უნდა იყოს მაქსიმალურად ეფექტური, ვინაიდან რესურსები შეზღუდულია, ხოლო ჩვენ ანგარიშვალდებულნი ვართ ჩვენი დონორების წინაშე.

ამ დოკუმენტის მიზანია სახელმძღვანელო პრინციპების ჩამოყალიბება იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა შეფასდეს ძაღლების პოპულაციის მართვის აუცილებლობა, როგორ უნდა შემუშავდეს ყველაზე ეფექტური და რესურსების მხრივ ოპტიმალური მიდგომა, რათა პოპულაციის მართვა ხორციელდებოდეს ჰუმანური გზით.[1]

ჩვენ ვიცით, რომ ძაღლების პოპულაციის მდგომარეობა, შემადგენლობა და სიდიდე შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს სხვადასხვა ქვეყნებში და ქვეყნის შიგნითაც კი; არ არსებობს ისეთი ინტერვენცია, რომელიც ყველა სიტუაციაში იმუშავებს ერთნაირად. ამიტომ მტკიცედ გვჯერა, რომ პროგრამის შემუშავებამდე საჭიროა კონკრეტული სიტუაციის შეფასება და ყველა პოტენციურად რელევანტური ფაქტორის გათვალისწინება. უნივერსალურ კონცეპციად მივიჩნევთ, რომ აუცილებელია ერთიანი, ფართომასშტაბიანი პროგრამის შემუშავება, რომელიც მოიცავს მაწანწალა ძაღლების პოპულაციის ძირეული პრობლემებს (და არა მხოლოდ ცალკეული სიმპტომებს).

საკითხის განსაზღვრა

ICAM Coalition-ში შემავალი ყველა ორგანიზაცია ესწრაფვის ცხოველთა კეთილდღეობის ზრდას, ეს არის ამ ორგანიზაციების საერთო მიზანი და პრიორიტეტი. ძაღლების პოპულაციის მართვა ყველა ჩვენთაგანის ინტერესთა სფეროს განეკუთვნება, რადგან ის მოიცავს ცხოველთა დაცვის საკითხებს.
მაწანწალა ძაღლები მრავალ სირთულეს აწყდებიან, მათ შორისაა კეთილდღეობისთან დაკავშირებულ პრობლემებიც, როგორიცაა:

- შიმშილი
- დაავადებები
- დაშავება საგზაო შემთხვევებში
- დაშავება ჩხუბის დროს
- სასტიკი მოპყრობა

პოპულაციის მართვაზე მიმართული ქმედებები შეიძლება ასევე მოიცავდეს კეთილდღეობასთან დაკავშირებულ სხვა პრობლემებს, მათ შორისაა:

- მოკვდინების არაჰუმანური მეთოდები, როგორიცაა მოწამვლა სტრიქნინით, ელექტროშოკი და დახრჩობა
- დაჭერის სასტიკი მეთოდები
- არასრულყოფილი აღჭურვილობა და ამ აღჭურვილობის არასწორად გამოყენება.

[1] თუმცა წარმოდგენილი დოკუმენტი განსხვავებული ფორმატისაა და მასში მოტანილია უახლესი მაგალითები, ის იზიარებს ბევრ ადრე გამოთქმულ მოსაზრებას, კერძოდ, შეფასებებს, მოცემულს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციისა და ცხოველთა დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ერთობლივ გამოცემაში "ძაღლების პოპულაციის მართვის სახელმძღვანელო პრინციპები" (WHO/WSPA (1990) Guidelines for Dog Population Management).

ძაღლების ნებისმიერ პოპულაციაში გამოიყოფა შემდეგი კატეგორიები:

- პატრონიანი, რომლებიც მოძრაობენ შეზღუდულ სივრცეში – “ჩაკეტილები”
- პატრონიანი, რომლებიც თავისუფლად, შეუზღუდავად მოძრაობენ –“მაწანწალა”
- უპატრონო

ძაღლს ჰყავს პატრონი, მაგრამ სეირნობს უმეთვალყურეოდ (პორტ უგალია)

კეთილდღეობის პრობლემები შეიძლება წამოიჭრას როგორც შეზღუდულ სივრცეში მოძრავ (ჩაკეტილ), ასევე მაწანწალა ძაღლებთან დაკავშირებით. თავისი ამოცანებიდან გამომდინარე წინამდებარე დოკუმენტი ძაღლების პოპულაციის მართვის მიზანს განმარტავს, როგორც “მაწანწალა ძაღლების პოპულაციისა და მასთან დაკავშირებული რისკების მართვას, მათ შორის, პოპულაციის შემცირებას, როდესაც ეს აუცილებელია”.

გადაწყვეტილება მაწანწალა ძაღლების რაოდენობის შემცირების თაობაზე გარკვეულწილად სუბიექტურად მიიღება. ყველა სიტუაციაში მოიძებნებიან ადამიანები, რომლებიც მზად არიან, აიტანონ მაწანწალა ძაღლების არსებობა, ისევე, როგორც ადამიანები, რომელთაც ეს არ სურთ. ასე მაგალითად, საზოგადოების ნაწილი და სამთავრობო სტრუქტურები შეშფოთებული არიან საჯარო ჯანდაცვისა და უსაფრთხოების ისეთი პრობლემებით, რომლებიც ასოცირდება მაწანწალა ძაღლების პოპულაციასთან, როგორიცაა:

- დაავადებების გადატანა ადამიანზე (ზოონოზია) და სხვა ცხოველებზე
- აგრესიული ქცევით გამოწვეული შიში და დაზიანება
- ხმაურითა და დაბინძურებით გამოწვეული დისკომფორტი
- შინაურიცხოველების მოტაცება
- საგზაო ინციდენტების გამოწვევა.

მეორე მხრივ, ზოგიერთ ქვეყანაში მაწანწალა ძაღლებს კარგად ეპყრობიან – იქ, სადაც ადგილობრივი თემი არ ეწინააღმდეგება პატრონიანი ძაღლების თავისუფლად ხეტიალს. ამ შემთხვევაშიძაღლების რიცხვის შემცირება შეიძლება საჭირო აღმოჩნდეს მხოლოდ ზოონოზიის გავრცელების რისკის შემცირებასა და, შესაბამისად, მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებით.

მაწანწალა ძაღლს შეიძლება ჰყავდეს, ან არ ჰყავდეს პატრონი. სწორედ პასუხისმგებელი მეპატრონეობა განსაზღვრავს იმას, უქმნის თუ არა ძაღლი პრობლემას სხვა ადამიანებს.

წინამდებარე დოკუმენტი განიხილავს მართვის იმ ვარიანტებს, რომლებიც ეხება ძაღლების ორივე კატეგორიას (პატრონიანს და უპატრონოს).

ტერმინოლოგია

პოპულაციის მართვის თვალსაზრისით მართებულად მიგვაჩნია, პირველ რიგში დავახასიათოთ ძაღლები მათი ქცევისა თუ საცხოვრებელი ადგილის მიხედვით (შემოსაზღვრულ სივრცეში ცხოვრობენ ისინი თუ თავისუფლად მოძრაობენ), შემდეგ კი შევეხოთ პატრონიან/უპატრონო ცხოველის სტატუსს (*იხ. ქვემოთ სურათი 1*). ტერმინები, რომლებიც დიაგრამაში გვხდება, ახსნილია თავში "დეფინიცია".

სურათი 1: ძაღლების მთლიანი პოპულაციის ქვეპოპულაციები



დიაგრამაში ასახულია ძაღლების მთლიანი პოპულაციის შემადგენელი ქვეპოპულაციები. მხედველობაში იქონიეთ, რომ ეს კატეგორიები დინამიურია და ხშირად ძაღლები ინაცვლებენ ერთი კატეგორიიდან მეორეში, როგორც ამას ისრები ასახავს

დეფინიცია

მაწანწალა ძაღლი

ძაღლი, რომელიც მოცემულ მომენტში არ არის უშუალო კონტროლის ქვეშ, ან არ არის შეზღუდული მოძრაობაში ფიზიკური ბარიერის მეშვეობით. ამ ტერმინის ნაცვლად ხშირად ხმარობენ გამოთქმას "თავისუფლად მოძრავი" ან "მოხეტიალე" ძაღლი. გაითვალისწინეთ, რომ ეს ტერმინი გულისხმობს როგორც პატრონიან, ისე უპატრონო ძაღლებს, ანუ ის არ გამოარჩევს "პატრონის" ან "მცველის" მყოლ ცხოველებს. ბევრ ქვეყანაში ე.წ. მაწანწალა ძაღლებს ემეტესად ჰყავთ პატრონი და მაინც "დახეტიალებენ" საერთო, საზოგადოებრივი საკუთრების ადგილებში მთელი დღის განმავლობაში, ან დღის გარკვეულ მონაკვეთებში.

პატრონიანი ძაღლი

წინამდებარე დოკუმენტში პატრონიანად მიჩნევა ძაღლი, რომელსაც ვინმე თავის საკუთრებად აღიარებს და თვლის, რომ მას აქვს ამ ძაღლზე გარკვეული უფლება – ანუ, ცხოველი, რომელზაც ვინმე იტყვის: "ეს ჩემი ძაღლია". ეს არ ნიშნავს, რომ მოცემულ ძაღლს მართლაც ჰყავს პასუხისმგებლობის გრძნობით აღჭურვილი პატრონი. სინამდვილეში, ტერმინი "პატრონიანი ძაღლი" შეიძლება გულისხმობდეს, რომ:

- ადამიანი არარეგულარულად კვებავს ქუჩაში თავისუფლად მოხეტიალე ძაღლს (თავისუფალი პატრონობა);
- ძაღლს ინახავენ საჯიშედ;
- ძაღლი არის კარგად მოვლილი, დარეგისტრირებული კომპანიონი ცხოველი.

ცნება "მეპატრონეობის" უკავშირდება"ჩაკეტილობის" სპექტრს და ისეთი რესურსებით უზრუნველყოფას, როგორიცაა კვება, თავშესაფარი და ზრუნვა.

სამეზობლოს (მიკედლებული) ძაღლი

არსებობს სიტუაციები, როდესაც ცხოველის პატრონად **ერთზე მეტი ინდივიდი მოიაზრება**. ასეთ დროს საქმე გვაქვს სამეზობლოს (მიკედლებულ) ძაღლთან.

პასუხისმგებელი მეპატრონეობა

ცხოველთა კეთილდღეობის ძირეული პრინციპი მდგომარეობს იმაში, რომ პატრონს ეკისრება ვალდებულება, ყველა თავისი ცხოველი და მათი შთამომავლობა უზრუნველყოს საკმარისი და სათანადო მოვლით. "ზრუნვის მოვალეობა" მოითხოვს, რომ პატრონმა მიაწოდოს მათ ყველა რესურსი (მაგალითად, საკვები, წყალი, მკურნალობა, სოციალური ინტერაქტივობა), რაც აუცილებელია, რათა ძაღლი იმყოფებოდეს ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის მისაღებ დონეზე – ამას კარგად განმარტავს "ხუთი თავისუფლება"[2], რომელიც შეიძლება გამოდგეს სახელმძღვანელო პრინციპებად. პატრონი ასევე ვალდებულია, მინიმუმამდე დაიყვანოს პოტენციური საფრთხე, რომელიც მისმა ძაღლმა შეიძლება შეუქმნას საზოგადოებას, ან სხვა ცხოველებს. ზოგიერთ ქვეყანაში ეს არის იურიდიული მოთხოვნა.

[2] თავისუფლება შიმშილისა და წყურვილისგან; თავისუფლება დისკომფორტისგან; თავისუფლება ტკივილის, დაზიანებისა და დაავადებისგან; ბუნებრივი ქცევის თავისუფლება; თავისუფლება შიშისა და დისტრესისგან. არმ ნიმალ ჭელფარე ჩოუნცილ (ჭჩ):ნნნ.ფაწც.ორგ.უკ/ფრეედომს.ჰტმ

შინაარსის სტრუქტურა

წინამდებარე დოკუმენტის სტრუქტურა მოცემულია სურათზე 2:

სურათი 2: პროცესის მიმოხილვა

A. მონაცემების შეგროვება და შეფასება: პრობლემის გაცნობიერება

ძაღლების პოპულაციის მართვის პროგრამის დაწყებამდე აუცილებელია პოპულაციის დინამიკის შესწავლა და ობიექტურად შეფასება

მეთევზე და მაწანწალა ძაღლი ინდოეთში

ძაღლების ადგილობრივი პოპულაციის შეფასება
მთავარი კითხვები, რომლებსაც პასუხი უნდა გაეცეს შეფასების ფარგლებში:

1. როგორია ძაღლების პოპულაციის სიდიდე მოცემულ მომენტში და რა კატეგორიებს მოიცავს ის? იგულისხმება როგორც პატრონიანი, ისე უპატრონო, როგორც მაწანწალა, ისე "ჩაკეტილი" ძაღლები. სად გადაიკვეთა ეს კატეგორიები?

2. საიდან ჩნდებიან მაწანწალა ძაღლები? რა არის ამ მოვლენის წყარო და რატომ არსებობს ეს წყაროები? მართვის სტრატეგიები მიზნად უნდა ისახავდეს მოსალოდნელი არასასურველი მაწანწალა ძაღლების პოპულაციის შემცირებას პირველადი წყაროების განეიტრალების გზით

3. კეთილდღეობის მხრივ რა პრობლემებს აწყდებიან ეს ძაღლები?

4. რა და რატომ კეთდება მოცემულ მომენტში, როგორც არაფორმალურად, ისე ოფიციალურად, ძაღლების პოპულაციის კონტროლის თვალსაზრისით?

    a. მოცემულ მომენტამდე ჩატარებული საქმიანობის შეფასება გვეხმარება არსებული რესურსებისა და კონტროლის საშუალებების დახვეწასა და განვითარებაში. ამის ხარჯზე შეგვიძლია უზრუნველვყოთ, რომ ახალი ინტერვენცია კონფლიქტში კი არ შევა არსებულ საშუალებებთან, არამედ შეცვლის, ან შეავსებს მათ.

b. ვინ აგებს პასუხს მაწანწალა ძაღლების პოპულაციის კონტროლზე? ჩვეულებრივ ეს განეკუთვნება სოფლის მეურნეობის (ან ჯანდაცვის) დეპარტამენტის კომპეტენციას, ხოლო ადგილობრივ დონეზე აქტივობების განხორციელება ევალება მუნიციპალიტეტებს. არასამთავრობო ორგანიზაციებს შეუძლიათ, უზრუნველყონ პოპულაციის მართვის ეფექტური ელემენტები, მაგრამ ამისთვის მათ სჭირდებათ მხარდაჭერა პასუხისმგებელი ორგანოს მხრიდან. უნდა გვახსოვდეს, რომ ნებისმიერი ქმედება უნდა შეესაბამებოდეს ქვეყნის კანონმდებლობას.

c. საზოგადოების მხრიდან ზეწოლა შეიძლება იყოს მეტად ეფექტური და ჩვეულებრივ ეს არის ის „რატომ“, რომელიც დგას კონტროლის მცდელობების უკან. საჭიროა ადგილობრივი საზოგადოებისა და ადგილობრივი მთავრობის პოზიციისა და აზრის გაცნობა; მათი მოსაზრებების გათვალისწინება პროექტის სიცოცხლისუნარიანობის წინაპირობაა. მიიღება თუ არა გადაწყვეტილება ძაღლების პოპულაციის კონტროლის შესახებ იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად არასასურველია მაწანწალა ძაღლების არსებობა; უნდა გვახსოვდეს, რომ ამ საკითხის განხილვისას ყურადსაღებია გამოკითხულ ადამიანების პოზიცია, ასევე კონკრეტული ძაღლების ინტერესები.

ყოველი ძირითადი კითხვა შეიცავს ქვეკითხვებს და ინსტრუმენტებს, რომლებიც დაგვეხმარება პასუხის გაცემაში. გაეცანით კითხვებს დანართში A, მაგრამ მხედველობაში იქონიეთ, რომ კითხვებისა და ინსტრუმენტების სია არაა ამომწურავი და არ წარმოადგენს მზა რეცეპტურას, ეს მხოლოდ მნიშვნელოვანი სფეროების წარმოჩენის მცდელობაა.
მნიშვნელოვანია, რომ შედგეს კონსულტაციები რელევანტურ დაინტერესებულ მხარეებთან; სასურველია, წარმოდგენილი იყოს ყველა, ვისაც შეხება აქვს ძაღლების პოპულაციის მართვასთან. შეძლებისდაგვარად უნდა გამოყენებულ იქნეს მონაწილეობითი მიდგომა – საკმარისი არაა მხოლოდ კონსულტაციები ადამიანებთან, საჭიროა მათი მოსაზრებების გათვალისწინება და მათი წვლილის გამოყენება. ეს არის დაინტერესებული მხარეების ჩართულობისა და პროგრამის წარმატების წინაპირობა.

მრავალმხრივი კომიტეტის შექმნა

იდეალურ შემთხვევაში პასუხისმგებელი სამთავრობო ორგანო მოვალეა კონსულტაციისთვის შეკრიბოს ყველა დაინტერესებული მხარე. მაგრამ თუ შესაბამისი ორგანო არ/ვერ აკეთებს ამას, მაშინ არასამთავრობო ორგანიზაციებს შეუძლიათ შექმნან სამუშაო ჯგუფი და თავად მიაწოდონ სახელისუფლებო ორგანოებს კვლევის შედეგები. კონსულტირების პროცესის განვითარებას უფრო დეტალურად გაეცანით დანართში . ქვემოთ მოყვანილია სავარაუდო დაინტერესებულ მხარეთა სია. სიმბოლოთი “*” აღნიშნულია ის ორგანიზაციები, რომელთა მონაწილეობა აუცილებელია.

- **მთავრობა*** — ადგილობრივი ხელისუფლება, თუმცა პოლიტიკის განსაზღვრისა და წესდების მიღების ეტაპზე მართებულია ცენტრალური ხელისუფლების მონაწილეობაც. როდესაც პროგრამა ქვეყნის მასშტაბით ტარდება, მთავრობა წარმოადგენს ძირითად მხარეს. შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს სხვადასხვა დეპარტამენტების ჩართვაც, მათ შორის – სოფლის მეურნეობის/ვეტერინარიის, ჯანდაცვის, გარემოს დაცვის, ტურიზმის, განათლებისა და სანიტარიის.
- **ვეტერინარული საზოგადოება*** — ეროვნული ხელმძღვანელი ორგანო, ვეტერინართა პროფესიული ორგანიზაცია, კერძო პრაქტიკოსთა ჯგუფები და უნივერსიტეტის ვეტერინარული დეპარტამენტი.

- **არასამთავრობო სექტორი*** — ადგილობრივი, ეროვნული და საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც მუშაობენ ცხოველთა კეთილდღეობის, ცხოველთა უფლებებისა და ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის სფეროებში.
- **ცხოველთა თავშესაფრების, ახალი პატრონის/მზრუნველის პოვნის ცენტრების წარმომადგენლები*** — როგორც მუნიციპალური, ისე არასამთავრობო
- **სამეცნიერო წრეების წარმომადგენლები** – ვისაც გააჩნია შესაბამისი გამოცდილება ცხოველთა ქცევის, ვეტერინარიის, სოციოლოგიის, ეკოლოგიის და ეპიდემიოლოგიის სფეროებში.
- **კანონმდებლები*** — კანონების შექმნასა და მათ აღსრულებაზე პასუხისმგებელი დეპარტამენტები.
- **განათლების სფეროს წარმომადგენლები** – სკოლებიდან და უნივერსიტეტებიდან
- **ადგილობრივი მედია** – საჯაროობის, განათლებისა და ადგილზე მხარდაჭერისთვის
- **შესაბამისი მანდატის მქონე საერთაშორისო ორგანიზაციები** – ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია (WHO), ცხოველთა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია (I) და საერთაშორისო ვეტერინარული ორგანიზაციები
- **ადგილობრივი თემის ლიდერები/წარმომადგენლები ***
- **ადგილობრივი თემი** — ადამიანები, ვისაც ჰყავთ, ასევე ვისაც არ ჰყავთ ძაღლები.

B. ძაღლების პოპულაციის მართვაზე გავლენის მქონე ფაქტორები: განიხილეთ და პრიორიტეტები მიანიჭეთ ძაღლების პოპულაციის ზომისა და კეთილდღეობის განმსაზღვრელ ფაქტორებს

წინასწარი შეფასება გვაწვდის კონკრეტულ მონაცემებსა და ერთიან წარმოდგენას ადგილობრივ სიტუაციაზე. შემდეგ ეტაპზე უნდა განისაზღვროს, რომელი ფაქტორებია ყველაზე მნიშვნელოვანი და ამდენად, რომელს უნდა მიენიჭოს პრიორიტეტი მართვის პროგრამაში; პრიორიტეტული ფაქტორების იდენტიფიცირება უზრუნველყოფს იმას, რომ რესურსები არ დაიხარჯება საკითხებზე, რომლებიც მხოლოდ მცირე გავლენას ახდენს ძირეულ პრობლემაზე. თითქმის ყველა სიტუაციაში მნიშვნელობა ენიჭება ერთზე მეტ ფაქტორს, ამიტომ ეფექტური სტრატეგია მოითხოვს ინტერვენციების კომბინირებას.

ქვემოთ მოცემულია იმ ფაქტორთა სია, რომლებსაც ხშირად ენიჭებათ პრიორიტეტი ძაღლების პოპულაციის მართვის თვალსაზრისით. ეს ფაქტორები იყოფა ორ ჯგუფად – ფაქტორები, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ პოპულაციის სიდიდეზე და ფაქტორები, რომლებიც ზემოქმედებენ ადამიანებზე და/ან უბიძგებენ მათ ძაღლების პოპულაციის კონტროლის განხორციელებისკენ. ფაქტორების რელევანტობა შეიძლება იცვლებოდეს, ან განსხვავდებოდეს კონკრეტულ სიტუაციებში; მნიშვნელოვანია ფოკუსირება მოცემული საზოგადოებისთვის მისაღებ თემებზე, ასევე მაწანწალა ძაღლების პოპულაციის ზრდის გამომწვევ მიზეზებზე და არა შედეგებზე.

პოპულაციის სიდიდეზე გავლენის მქონე ფაქტორები

ადამიანების პოზიცია და ქცევა
მიზანი: პასუხისმგებელი მეპატრონეობის წახალისება

ადამიანების ქცევა მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ძაღლების პოპულაციის დინამიკას. ადამიანების ცხოველთა მიმართ პასუხისმგებელობის გრძნობის წახალისება გამოიღებს შედეგად ცხოველთა კეთილდღეობის ზრდას და მაწანწალა ძაღლების რაოდენობის კლებას. მაწანწალა ძაღლების პოპულაციის ზრდის ძირეული მიზეზი შეიძლება აღმოჩნდეს პატრონიანი ძაღლების უკონტროლო გამრავლება და აქედან მომდინარე მრავალი პრობლემა, რომელთა პრევენცია არაა რთული. უნდა გვახსოვდეს, რომ ამ პრობლემების წარმომშობი ძირითადი ფაქტორი არის ადამიანის დამოკიდებულება ძაღლებისადმი.

ადამიანების პოზიციისა და ქცევის შესწავლისას საჭიროა რამდენიმე საკითხის გათვალისწინება:

- ადგილობრივი რწმენები და ტრადიციები ხშირად განსაზღვრავს ადამიანის ქცევას ძაღლების მიმართ. საჭიროა დამოკიდებულების შეცვლა და მაშინ შეიცვლება თვით ქცევა და მისი შედეგებიც. მაგალითად, შეხედულება, რომ სტერილიზაცია იწვევს ნეგატიურ ქცევით ცვლილებებს ძაღლებში შეიძლება დავძლიოთ განათლებისა და გასტერილებული ცხოველების პოზიტიური მაგალითების პრეზენტაციის მეშვეობით — ეს უბიძგებს პატრონებს თავიანთი ძაღლების გასტერილებისკენ

- გზავნილები ადამიანების ქცევის შესახებ უნდა იყოს თანმიმდევრული; ჩარევამ ხელი უნდა შეუწყოს ადამიანებსა და ძაღლებს შორის ჰარმონიულ ურთიერთობას. მაგალითად, ძაღლების სწორად მოვლის დემონსტრირება წაახალისებს ემპატიურ დამოკიდებულებას

ადგილობრივ თემში. ყურადღებით დააკვირდით და გამორიცხეთ ჩარევის ისეთი ელემენტები, რომლებმაც შეიძლება წაახალისონ უპასუხისმგებლო ქცევა.

- რელიგია და კულტურა მნიშვნელოვან როლს თამაშობს ადამიანების დამოკიდებულებისა და შეხედულებების ჩამოყალიბებაში. თავიდანვე მოიწვიეთ რელიგიური მოღვაწეები და თემის ლიდერები, რათა შეისწავლოთ, თუ როგორ შეიძლება განამტკიცოს ან დააბრკოლოს პოტენციური ჩარევა რელიგიურმა და კულტურულმა ინტერპრეტაციამ.

- ადამიანის ქცევის შეცვლაზე მიმართული ჩარევები მორგებული უნდა იყოს კონკრეტულ აუდიტორიაზე, რადგანაც სხვადასხვა ასაკისა და კულტურის ჯგუფებთან საჭირო იქნება სხვადასხვა მეთოდოლოგიის გამოყენება. მნიშვნელოვანია მოცემული აუდიტორიისთვის ინფორმაციის მიწოდების ყველაზე ეფექტური გზების დადგენა.

ადამიანის ქცევა წარმოადგენს წარმატების მიღწევის წამყვან ფაქტორს, ამდენად მნიშვნელოვანია, რომ მეპატრონეებმა არა მარტო იცოდნენ დაგეგმილი ინტერვენციების შესახებ, არამედ კარგად აცნობიერებდნენ და იზიარებდნენ ყველა რელევანტურ ასპექტს (იხ. შემთხვევის ანალიზი 1).

ШЕМТХВЕВИС АНАЛИЗИ 1

ადამიანების ატიტუდების მაგალითები, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინონ ძაღლების პოპულაციის მართვაზე

ორგანიზაციებმა IFAW და One Voice 2004 წელს ჩინეთში დააფინანსეს გამოკითხვა, რომელმაც გამოავლინა, რომ მოსახლეობის დაახლოვებით 76% კომპანიონი ცხოველების – კატებისა და ძაღლების – სტერილიზაციას სისასტიკედ თვლის. კვლევამ აჩვენა, რომ სტერილიზაციის გზით რეპროდუქციის კონტროლთან დაკავშირებული ნებისმიერი ჩარევის დაწყებამდე აუცილებელია ექსტენსიური საგანმანათლებლო ღონისძიებებისა და დისკუსიების გამართვა.

2006 წელს მსგავსი სიტუაცია იყო ზანზიბარში, სადაც WSPA-მ და ადგილობრივმა მთავრობამ განახორციელეს სტერილიზაციის პროგრამა. პროცესი დაიწყო დუნედ, პროგრამაში მონაწილეობის სურვილი მეპატრონეთა მცირე ნაწილმა გამოთქვა. თუმცა, გარკვეული დროის შემდეგ საგანმანათლებლო პროგრამის, თემის ლიდერებთან დისკუსიებისა და გასტერილებული ცხოველების პრაქტიკული მაგალითების წყალობით დამოკიდებულება შეიცვალა და ადამიანებმა დაიწყეს თავიანთი ცხოველების მიყვანა გასასტერილებლად.

პოპულაციის რეპროდუქტიული აქტივობა

მიზანი: „მიწოდება — მოთხოვნის" იმგვარად დაბალანსება, რომ გამრავლებული ძაღლების რიცხვი და ტიპი შეესაბამებოდეს საზოგადოებისთვის მისაღებ რიცხვსა და ტიპს.

მაწანწალა ძაღლების არასასურველი პოპულაციის ჰუმანური გზით შესამცირებლად აუცილებელია შემცირდეს „ჭარბი" პოპულაცია.
ეს „ზედმეტი" ძაღლები შეიძლება მივაკუთვნოთ სამ კატეგორიას — უპატრონო, პატრონიან და სპეციალურად შეჯვარებული ძაღლების; „მიწოდება — მოთხოვნის" კონტროლი უნდა მოიცავდეს სამივე კატეგორიას.

გათვალისწინებული უნდა იყოს შემდეგი საკითხები

a. რეპროდუქციის შემცირება – სტერილიზაციამ შეიძლება შეამციროს რეპროდუქციული პოტენციალი, მაგრამ მნიშვნელოვანია ძაღლების სამიზნე ჯგუფის სწორად შერჩევა.

I. ძაღლები, რომლებიც აქტიურად მრავლდებიან

- ძაღლების რეპროდუქციის კოეფიციენტის ეფექტურად შემცირების მიზნით მნიშვნელოვანია, დავადგინოთ ის ძაღლები, რომლებიც ლეკვებს ყრიან და უვლიან მათ მოწიფულობამდე.
- ადამიანების მხრიდან უშუალო ზრუნვას მოკლებული ძაღლების (მაგ., რომლებიც იკვებებიან მხოლოდ ნაგავსაყრელებთან) პოპულაციების მიმართებაში ჩატარებული კვლევის თანახმად, პოპულაციის სიდიდეს უმეტესად განსაზღვრავს მიგრაცია და არა გამრავლება ჯგუფის შიგნით. სავარაუდოა, რომ ბევრ შემთხვევაში მრავლდებიან მხოლოდ ის ძაღლები, რომლებზეც მეტ-ნაკლებად მაინც ზრუნავენ ადამიანები.
- ყურადსაღებია კეთილდღეობის დაბალი სტატუსის მქონე დედა-ძაღლების ლეკვების მძიმე მდგომარეობა (შეუძლიათ კი დედებს ლეკვების გამოკვება?). ზოგადად, არასასურველ მაწანწალა ძაღლების პოპულაციაში მაღალია ლეკვების სიკვდილიანობა.
- ამავე დროს არაა გამორიცხული, რომ პრიორიტეტების განსაზღვრის პერიოდში კეთილდღეობის დაბალი სტატუსის მქონე ძაღლები შემდგომში შეიძლება გამოჯანსაღდნენ და გამრავლდნენ.

II. ძაღლები, რომელთა ლეკვები სავარაუდოდ გახდებიან მაწანწალები

შეიძლება არსებობდეს ძაღლების სპეციფიური პოპულაცია, რომელთა პატრონები დიდი ალბათობით მიატოვებენ ლეკვებს, ან მისცემენ მათ ხეტიალის უფლებას. ამის მიზეზი შეიძლება იყოს პასუხისმგებელი მეპატრონეობის არსის არასათანადო გაცნობიერება, რაც, თავის მხრივ, განათლების, საზოგადოებრივი თუ ინსტიტუციონალური დამოკიდებულებისა და სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების შედეგია.

III. ძუ ძაღლები

შეიძლება მართებული იყოს ინტერვენციის ფოკუსირება ძუ ძაღლებზე, რადგან ჩვეულებრივ ეს ჯგუფი წარმოადგენს რეპროდუქციული შესაძლებლობების ძირითად შემზღუდველ ფაქტორს, რადგანაც ხვადების მცირერიცხოვან ჯგუფსაც კი შეუძლია დაამაკოს საკმარისად ბევრი ძუ. ამიტომ, ბევრი ხვადი ძაღლის სტერილიზაცია მაინც

ვერ უზრუნველყოფს რეპროდუქციული შესაძლებლობების შემცირებას. საპირისპიროდ, თითო ძუ ძაღლის სტერილიზაცია განაპირობებს მთლიანი რეპროდუქციული პოტენციალის კლებას.

IV. ხვადი ძაღლები.

ხვად არაკასტრირებულ ძაღლებთან ურთიერთობა მნიშვნელოვნად რთულდება, როდესაც ძუ ძაღლებს ეწყებათ მძუვნობა. კასტრაციის შემდეგ ზრდასრული ხვადის ქცევა ნაკლებად იცვლება, ვიდრე მოზარდისა, რომელსაც ჯერ არ აქვს ჩამოყალიბებული სექსუალური ქცევა. ამდენად, სტერილიზაციის თვალსაზრისით ახალგაზრდა ძაღლები შეიძლება ჩაითვალონ მეორე პრიორიტეტულ ჯგუფად (ძუ ძაღლების შემდეგ). ზრდასრული ხვადები კი შეადგენდნენ მომდევნო პრიორიტეტულ ჯგუფს.

შენიშვნა: ცოფი გადააქვთ როგორც ხვად, ისე ძუ ძაღლებს. როდესაც ცოფის გავრცელების რეგიონში სტერილიზაციისათვის მხოლოდ ძუ ძაღლები შეირჩევა, მამრი ძაღლები აცრას მაინც უნდა დაექვემდებარონ.

b. კომერციული მიწოდების, ანუ ძაღლების მოშენების შემცირება — ყოვლისმომცველი სტრატეგია უნდა ითვალისწინებდეს ძაღლების პოპულაციის ზრდის ისეთ კომერციულ წყაროებს, როგორიც არის საჯიშე ფერმები და ზოომაღაზიები. კომერციულ საჯიშეებში მოშენებული ძაღლი შეიძლება არ იყოს ჯანმრთელი, ან სოციალურად კარგად მორგებული, რაც ნიშნავს, რომ ის არ გამოდგება კომპანიონ ცხოველად. სავაჭრო ცენტრებში, როგორიცაა ზოომაღაზია ან ბაზარი, ძაღლებს ხშირად ძალიან ცუდად უვლიან, გაყიდვისას მყიდველს არ უხსნიან ძაღლის მოვლის წესებსა და მეპატრონის ვალდებულებებს. ასეთი ძაღლების "დაბალი ხარისხი" და მეპატრონეობის არსის გაცნობიერების თუ რეალისტური მოლოდინების ნაკლებობა ცხოველების მიტოვების მაღალ რისკს წარმოქმნის.

შესაბამისი კანონმდებლობა და კომპეტენტური აღმსრულებელი სააგენტოების მეშვეობით კანონის აღსრულებაზე ზრუნვა საფუძვლად უნდა დაედოს ხსენებული კომერციული ცენტრების პირობების გაუმჯობესებას და, შესაბამისად, იქ მყოფ ცხოველთა კეთილდღეობის ზრდას. ასევე, უნდა მოიძებნოს პასუხისმგებელი მეპატრონეობისა და ძაღლებზე ზრუნვის შესახებ ცოდნის გავრცელების არხები. საგანმანათლებლო პროგრამების მეშვეობით პოტენციურ პატრონებს უნდა მიეწოდოს ინფორმაცია კომპანიონი ცხოველის შეძენის ყველა შესაძლებლობის შესახებ, მათ შორის, იმ ცენტრების თაობაზე, სადაც შეიძლება უპატრონო ძაღლის აყვანა.

რესურსების მისაწვდომობა

მიზანი: რესურსების ხელმისაწვდომობის, როგორც ძაღლების ხეტიალის ხელშემწყობი გარემოების შემცირება და ადგილობრივი რესურსების გამოყენება მაწანწალა ძაღლების პოპულაციის შესამცირებლად

ჩვეულებრივ ძაღლებისთვის მისაწვდომია რესურსები (საკვები, წყალი, თავშესაფარი და სხვა) — უშუალოდ პატრონისგან საკუთარ ტერიტორიაზე, ან საზოგადოებრივ ადგილებში უმეთვალყურეოდ ხეტიალისას. თუ რამდენად არის ძაღლი დამოკიდებული საზოგადოებრივ ადგილებში არსებულ რესურსებზე განისაზღვრება იმით, თუ როგორ ზრუნავს მასზე პატრონი. ზოგიერთი პატრონიანი ძაღლი წანწალებს საზოგადოებრივ ადგილებში და სარგებლობს იქაური რესურსებით, თუმცა მას ეს არ სჭირდება გადარჩენისთვის; სხვა ძაღლებზე შეიძლება პატრონი

არ ზრუნავდეს, ან სულაც არ ჰყავდეს პატრონი – ასეთი ძაღლები მთლიანად ამ რესურსებზე არიან დამოკიდებული. საჯარო ადგილებში რესურსების მისაწვდომობის შემცირება გავლენას მოახდენს მაწანწალა ძაღლების პოპულაციაზე, შეზღუდავს რა ხეტიალის შესაძლებლობებს, თუმცა ასევე შემცირდება ამ რესურსებზე დამოკიდებული ძაღლების გადარჩენის შანსებიც.

ამ ფაქტორის განხილვისას რამდენიმე საკითხი უნდა მივიღოთ მხედველობაში

a. არ შეიძლება მხოლოდ ამ ჩარევის (რესურსების მისაწვდომობის შემცირება) გამოყენება სხვა ინტერვენციების გარეშე იმ ცხოველების გამო, რომელთა გადარჩენა და სიცოცხლის შენარჩუნება დამოკიდებულია საჯარო ადგილებში არსებულ რესურსებზე. ცვლილებებს ამ მიმართულებით (მაგალითად, ნაგვის კოლექტორების გაუმჯობესება) უნდა თან ახლდეს სხვა საქმიანობაც, თუნდაც პოპულაციის შემცირება, ან ცხოველების გამოკვების ალტერნატიული გზის მოძიება.

b. ნაგვის შეგროვებისა და გატანის პროცედურის გაუმჯობესება შეამცირებს იმ ტერიტორიას, სადაც იკვეთებიან ადამიანები (განსაკუთრებით კი ბავშვები) და მაწანწალა ძაღლები.

c. ზოგიერთ სიტუაციაში საკვების ძირითად წყაროს წარმოადგენს სურსათი, რომელსაც ადამიანები უშუალოდ აწვდიან ძაღლებს, ანუ აჭმევენ მათ. ძაღლების გამოკვების მოტივაცია შეიძლება განსხვავდებოდეს რეგიონების მიხედვით, ასევე ინდივიდიდან ინდივიდამდე; ყოველივე ეს უნდა გავითვალისწინოთ, თუ გვინდა შევცვალოთ ადამიანთა მკვებავი ქცევა (იხ. ქვემოთ პუნქტი დ). სწორ განათლებას შეუძლია მნიშვნელოვნად შეცვალოს ეს ქცევა. ძაღლების პოპულაციის შემცირებას კი თავისთავად მოყვება რესურსების მიწოდების კლება, რადგანაც არავინ აჭმევს 'გამქრალ' ძაღლებს.

d. რესურსების მისაწვდომობის რეგულირების ხარჯზე შეიძლება ძაღლების პოპულაციის გავრცელების არეალის შეცვლა. მაგალითად, თუ გვინდა მოვაცილოთ მაწანწალა ძაღლები საზოგადოებრივ პარკებს, იქ უნდა დავდგათ საგანგებო, ძაღლებისთვის მიუწვდომელი ნაგვის ბუნკერები, ხოლო ადამიანებს უნდა განვუმარტოთ, რომ იქ დაუშვებელია ძაღლების კვება. ზოგიერთ ქვეყანაში არსებობს რეგულაციები, რომელთა მიხედვით არსებობს განსაზღვრული ადგილები, სადაც შეიძლება ძაღლების გასეირნება, ან დაშვებულია წანწალი. ამ რეგულაციების აღსრულება ეკისრება გარემოსდაცვით და საზოგადოებრივ სამსახურებს.

ადგილობრივები თვალს ადევნებენ ცხოველის სტერილიზიციას მობილურ კლინიკაში (ზანზიბარი).

ძაღლების პოპულაციაზე კონტროლის დაწესების სურვილის განმსაზღვრელი ფაქტორები

ზოონოზები (ინფექციური დაავადებები, რომელიც გადადის ცხოველიდან ცხოველზე ან ადამიანზე)
მიზანი: საფრთხის შემცირება, რომელსაც ძაღლების პოპულაცია უქმნის ადამიანებისა და სხვა ცხოველების ჯანმრთელობას

ზოონოზური დაავადებები ხშირად წარმოადგენს მაწანწალა ძაღლებისადმი პრობლემატური დამოკიდებულების უპირველეს მიზეზს. პირველ რიგში ეს ეხება ადგილობრივ და ცენტრალურ ადმინისტრაციებს, რომლებსაც ევალებათ ჯანდაცვა. ცოფი ფატალური დაავადებაა, ხოლო ძაღლები ითვლებიან ამ დაავადების ადამიანზე გადაცემის ერთ-ერთ მთავარ ვექტორად, ამდენად ცოფის კონტროლი ძაღლის პოპულაციის მართვის უმთავრესი მოტივია.

ამ ფაქტორის განხილვისას მხედველობაში უნდა ვიქონიოთ შემდეგი საკითხები

a. ზოონოზური კონტროლის მნიშვნელობას სათანადოდ უნდა აცნობიერებდეს ყველა დაინტერესებული მხარე და არა მხოლოდ ჯანდაცვის სფეროს წარმომადგენლები. მნიშვნელოვანია კონტროლის ისეთი გზების მოძიება, რომელიც იქნება ეფექტური და ამავე დროს ცხოველთა მიმართ ნეიტრალური, ან, იქნებ, პოზიტიურიც კი.

b. ზოონოზები საშიშროებას წარმოადგენს ადამიანებისათვის; ზოგ შემთხვევაში ადამიანები ექცევიან ძაღლებს სასტიკად, რადგანაც ეშინიათ ამ დაავადებების, განსაკუთრებით კი ცოფის. ზოონოზების კონტროლის ღონისძებები და ამ კონტროლის თვალსაჩინო გამოხატულება (მაგალითად, წითელი საყელური იმის ნიშნად, რომ ძაღლი აცრილია ცოფზე) დაამშვიდებს საზოგადოებას და შეამცირებს ძაღლების მიმართ აგრესიას.

c. ზოგიერთ სიტუაციებში სასურველია პირველ რიგში ანტიზოონოზური მეთოდების გამოყენება – ეს ნდობით განაწყობს საზოგადოებას; შემდეგ შეგვიძლია განვავითაროთ ძაღლების პოპულაციის მართვის სხვა კომპონენტები, მათ შორის სტერილიზაცია და ცხოველების ჯანდაცვა. ძოგადად, საუკეთესო კომბინაციად ითვლება პოპულაციის მართვის ფართომასშტაბიანი პროგრამა თანმდევი ზოონოზური კონტროლის ფონზე.

d. მხედველობაში უნდა ვიქონიოთ პროგრამის მონაწილეებზე ზოონოზური დაავადებების გადაცემის რისკი. ასე მაგალითად, ცოფის სიმპტომების გამოვლენამდე ორი კვირით ადრე ინფიცირებული ძაღლის ნერწყვი შეიცავს საშიშ ვირუსს. ყველა თანამშრომელი, ვინც უშუალოდ მუშაობს ძაღლებთან, უნდა იყოს დატრენინგებული და თან უნდა ატარებდეს პროფილაქტიკურ/პრევენტიულ სამედიცინო საშუალებებს.

მაწანწალა ძაღლების არსებული პოპულაცია

მიზანი: ***შევამციროთ საფრთხე, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობისათვის წარმოადგენენ მაწანწალა ძაღლები, ამ პოპულაციისათვის ზიანის მიყენების გარეშე***

მაწანწალა ძაღლების პოპულაციის ზრდამ შეიძლება წარმოშვას კონფლიქტები ადამიანებსა და ცხოველებს შორის (ზოონოზურ დაავადებებთან ერთად) და ასევე შეიძლება გადაიქცეს სერიოზულ პრობლემად ძაღლების კეთილდღეობის მხრივ. მაწანწალა პოპულაციის პრობლემის გადაწყვეტის აუცილებლობას ხშირად განაპირობებს ზეწოლა საზოგადოების მხრიდან, საზოგადოებრივი ჯანდაცვის მოთხოვნები და თვით ძაღლების კეთილდღეობასთან დაკავშირებული სირთულეები. ინტერვენციის ოპტიმალური მეთოდის შერჩევა უპირატესად დამოკიდებულია ადგილობრივ ადამიანურ რესურსებზე.

ამ ფაქტორის განხილვისას მხედველობაში უნდა ვიქონიოთ შემდეგი საკითხები

a. მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, სად და როდის ისახება კონფლიქტი ადამიანსა და ცხოველს შორის. ზოგიერთი პრობლემის გადაწყვეტა ხერხდება არა პოპულაციის შემცირების ხარჯზე, არამედ სხვა მეთოდებით, როგორიცაა დაკბენის არიდების სწავლება, მაღალი რისკის ადგილებში ძაღლებისაგან თავისუფალი ზონების შექმნა და სხვა.

b. ადამიანებსა და ცხოველებს შორის კონფლიქტებში ხშირად ადანაშაულებენ მხოლოდ უპატრონო მაწანწალა ძაღლებს, თუმცა ბევრი მათგანი შეიძლება იყოს პატრონიანი, ან მიტოვებული. პასუხისმგებელი მეპატრონეობის დანერგვა და რეგისტრირება/ იდენტიფიცირების შემოღება ამ პრობლემის გადაწყვეტის კიდევ ერთ შესაძლებლობას წარმოადგენს.

c. როდესაც თემში არსებობს უპატრონო ძაღლების აყვანის პოტენციალი, მაწანწალა ძაღლებს შეიძლება გამოუჩნდეთ მზრუნველი პატრონები. ამ შესაძლებლობის გამოსაყენებლად საჭიროა ახალი მეპატრონის მოსაძებნი ცენტრების შექმნა. თუმცა მათი მენეჯმენტი ფრთხილი უნდა იყოს, რათა თვით ეს ცენტრები არ იქცნენ პრობლემად. თანაც ასეთი ცენტრები საკმაოდ ძვირადღირებულია და მათ შექმნაზე გადაწყვეტილების მიღებამდე სასურველია, განვიხილოთ სხვა ალტერნატივები.

d. ზოგიერთ თემში ცხოველთა აყვანის პოტენციალი მინიმალურია; ასეთ დროს ძაღლების მძიმე მდგომარეობა და საზოგადოების მხრიდან ზეწოლა გვაიძულებს, მოვაცილოთ ცხოველები იქაურობას. თუ ძაღლები ავადმყოფობენ, დაშავებული არიან, ან ქცევის სერიოზულ დარღვევებს (მაგალითად, აგრესიას) ავლენენ, მათ უმეტესად ევთანაზია ელის. როდესაც ახალ მეპატრონეთა მონახვის იმედი იწურება, უპირატესობა ენიჭება ჰუმანურ ევთანაზიას და არა გალიებში დიდი ხნით დამწყვდევას, რადგან ეს უკანასკნელი მეთოდი ძვირია და თანაც მტკივნეული ძაღლებისთვის.

e. თუ პოპულაციის ჯანმრთელობა დამაკმაყოფილებელია და ადგილობრივები ტოლერანტულად არიან განწყობილნი, მიზანშეწონილია განვიხილოთ სხვადასხვა მეთოდების კომბინირების შესაძლებლობა, მათ შორისაა: ცოფსაწინააღმდგეო აცრები; "საველე ჰოსპიტალი", სადაც ავადმყოფ, აგრესიულ და დაშავებულ ცხოველს ჰუმანური ევთანაზია ჩაუტარდება; ძაღლებისაგან თავისუფალი ზონების დაგეგმვა, ნაგვის დროულად გატანისა და დამცავი

ღობეების აგების ხარჯზე. ეს ყველაფერი შეიძლება გამოვიყენოთ სხვა მეთოდებთან ერთად. დაწვრილებით ეს თემა განხილულია სექციაში ჩ.

f. სამწუხაროდ, მაწანწალა ძაღლების პოპულაციის კონტროლის მიზნით დღესაც ხშირად მიმართავენ არაჰუმანური მეთოდებით ძაღლების მასიურ დახოცვას. არსებობს მრავალი არგუმენტი ამის საწინააღმდეგოდ. ცხოველების ხოცვა საწყის პრობლემას ვერ გადაჭრის — ვერ გააქრობს მაწანწალა ცხოველების გაჩენის წყაროს, რაგინდ ხშირადაც ჩატარდეს ეს ოპერაცია. ასეთი მეთოდები ჩვეულებრივ წინააღმდეგობას აწყდება ადგილზე, რადგან შემგრძნები არსების არაჰუმანური ხოცვა არაეთიკურია, მითუმეტეს, როდესაც არსებობს ალტერნატივები. არამიზნობრივად გამოყენებული არაჰუმანური მეთოდები (მაგალითად, საწამლავიანი მახეები) საფრთხეს უქმნის სხვა შინაურ ცხოველებსა და ადამიანებს, ბუნებაზე რომ არაფერი ვთქვათ. არ არსებობს იმის გარანტია, რომ მასიური დახოცვა ცოფის პრევენციას ხელს უწყობს (ნახეთ შემთხვევის ანალიზი 2); თანაც ეს დაუკარგავს ძაღლების მფლობელებს ინტერესს ცოფსაწინააღმდეგო აცრების პროგრამისადმი და მათი მონაწილეობა მინიმალური იქნება, როდესაც ადგილობრივი ხელისუფლება განიზრახავს მის ჩატარებას.

გამოცდილება აჩვენებს, რომ ხშირად მასიური ხოცვა გადარჩენილი ცხოველების სხვა ტერიტორიებზე გადანაწილებას იწვევს, რაც ცოფის რისკის არეალს კიდევ უფრო აფართოებს. ასევე არსებობს მოსაზრება, რომ მასიური ხოცვა გადარჩენილ ცხოველებს საკვების მოპოვების მეტ შესაძლებლობას უქმნის, რაც პოპულაციის სწრაფ აღდგენას მოასწავებს.

შემთხვევის ანალიზი 2

მასიური ხოცვის არაეფექტურობა ცოფის კონტროლის თვალსაზრისით

ფლორესი, იზოლირებული კუნძული ინდონეზიაში, ცოფისგან თავისუფალი იყო, სანამ კუნძულ სულავესიდან ჩამოყვანილმა ძაღლებმა არ შემოიტანეს ცოფის ვირუსი, რამაც ეპიდემია გამიწვია და 113 ადამიანი შეეწირა. ეს 1997 წლის სექტემბერში მოხდა. 1998 წლის დასაწყისიდან ადგილობრივმა ხელისუფლებამ დაიწყო ცხოველების მასიური ხოცვა, ისე რომ ეპიდემიის ეპიცენტრში ძაღლების 70% განადგურდა. მიუხედავად ამისა, კვლევის ჩატარების დროს, 2004 წელს ცოფის შემთხვევები ამ არეალში ჯერ კიდევ ხშირი იყო. რომ ჭინდიყანინგსიჰ ეტ ალ (2004). თჰე ღაბიეს პიდემიც ონ ლორეს Iსლანდ, Iნდონესია (1998 2003). ჟოურნალ ოფ ტჰე ედიცალ სსოციატიონ ოფ თჰაილანდ, 87(11), 1-5.

C. ძაღლების პოპულაციის მართვის ფართომასშტაბიანი პროგრამის კომპონენტები: აირჩიეთ თქვენ სიტუაციაზე საუკეთესოდ მისადაგებული გადაწყვეტილებები

ძაღლების მართვის ეფექტური პროგრამის ჩატარება ფართომასშტაბიან მიდგომას მოითხოვს. საუკეთესო შემთხვევაში პროგრამის ერთიან კოორდინირებას ახორციელებენ ადგილობრივი ხელისუფლების სტრუქტურები, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან ძაღლების პოპულაციის მართვაზე. არასამთავრობო ორგანიზაციებმა მათთან უნდა ითანამშრომლონ და განსაზღვრონ, რა სფეროში იქნება მათი ჩარევა ყველაზე ეფექტური და სასარგებლო პროგრამის წარმატებისთვის. თავის მხრივ, ყოველი ქმედება უნდა შეირჩეს იმ პრირიტეტების გათვალისწინებით, რომელიც გამოავლინა საჭიროებების საწყისმა შეფასებამ. ამ თავში მოცემულია რამდენიმე კომპონენტი, რომლებიც შეიძლება გამოვიყენოთ ძაღლების პოპულაციის მენეჯმენტის ფართომასშტაბიანი პროგრამის ფარგლებში.

განათლება

გრძელვადიან პერსპექტივაში განათლება სრულფასოვანი მენეჯმენტის განხორციელების უმნიშვნელოვანესი ელემენტია, რადგანაც ადამიანების ქცევა ძაღლების პოპულაციის დინამიკის ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია (იხ. სექცია ბ). განათლებამ პირველ რიგში ხელი უნდა შეუწყოს მეპატრონეთა შორის პასუხისმგებლობის დონის ამაღლებას ინდივიდუალური ცხოველების კეთილდღეობის, მათი მოვლისა და პოპულაციის მართვის მხრივ. ამასთან ერთად, შესაძლოა შემუშავდეს და პროგრამის სხვადასხვა ეტაპზე გავრცელდეს სპეციალური საგანმანათლებლო გზავნილები ისეთი თემების ირგვლივ, როგორიცაა კბენის პრევენცია, ძაღლის არჩევა და მოვლა; ძაღლის ახალი პატრონის მოლოდინები; პრევენტიული მკურნალობის მნიშვნელობა და ასეთი მკურნალობის ხელმისაწვდომობაზე ზრუნვა; ცხოველთა ნორმალური და პათოლოგიური ქცევა და სხვა.

შემთხვევის ანალიზი 3
საგანმანათლებლო პროგრამის მაგალითი

2004 წლის ცუნამის შემდეგ ორგანიზაციამ ლუე აწ თრუსტ შრი ლანკის სამხრეთ და აღმოსავლეთ სანაპიროებზე მოქმედ მობილურ ვეტერინარულ კლინიკასთან ერთად ჩააატარა საგანმანათლებლო პროგრამა. ეს გულისხმობდა ძაღლების და კატების მოვლის შესახებ ლიფლეტების დარიგებას, ლექციებს ადგილობრივ საზოგადოებრივ ცენტრებსა და ადგილობრივ სკოლებში, დისკუსიებს პროგრამის მონაწილე ვეტერინარებსა და საზოგადოების წარმომადგენლებს შორის ხსენებული ვეტერინარული კლინიკის ტერიტორიაზე. საზოგადოების ინიციატივით ადგილობრივი ვეტერინარი ჩაერთო კლინიკის მუშაობაში და დეტალურად გაეცნო სტერილიზაციის ოპერაციის ჩატარების ტექნიკას.

აღსანიშნავია, რომ პროგრამა დაიგეგმა და შემუშავდა ადგილობრივი სტრუქტურების წარმომადგენლების (საზოგადოებრივი ჯანდაცვის ინსპექტორების) და სკოლების უშუალო მონაწილეობით, შემდეგ კი შეთანხმებულ იქნა ყველა დაინტერესებულ ადგილობრივ სამოქალაქო ჯგუფსა და არასამთავრობო ორგანიზაცასთან.

ამ კომპონენტის გამოყენებისას საჭიროა რამდენიმე მომენტის გათვალისწინება:

a. საგანმანათლებლო ინიციატივები კოორდინირებული უნდა იყოს ადგილობრივ საგანმანათლებლო სტრუქტურებთან და მათი ჩატარება უნდა დაევალოს კომპეტენტურ (დატრენინგებულ) პროფესიონალებს. პროგრამის ყველა მონაწილეს შეუძლია წარმოადგინოს მოსაზრებები პროგრამის შინაარსის ირგვლივ, მაგრამ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ საგანმანათლებლო საქმიანობა ექსპერტების უშუალო დახმარებით უნდა განხორციელდეს.

b. მნიშვნელოვანია, რომ ძაღლების კეთილდღეობის შესახებ განათლების საკითხში თავიდანვე ჩაერთოს ყველა პოტენციური რესურსი. მათ შორის მოიაზრება ცხოველთა უფლებების დაცვის ჯგუფები, ვეტერინარები, სკოლები, აღმასრულებელი სტრუქტურები და მედია (ცხოველების საკითხზე მომუშავე მედია ჯგუფების ჩათვლით). სავარაუდოდ, მათგან ერთ-ერთმა უნდა იკისროს საკოორდინაციო ფუნქცია.

c. მიზანშეწონილია ადგილობრივი ვეტერინარებისა და ვეტ-ფაკულტეტების სტუდენტების ჩართვა პოპულაციის მართვის თემაზე საგანმანათლებლო საქმიანობაში. ეს შეიძლება იყოს:
   - პოპულაციის მართვის საჭიროების რაციონალური ახსნა;
   - მათი როლი ადამიანების ჯანდაცვის საკითხებში;
   - რეპროდუქტიული კონტროლის მეთოდები;
   - საკვანძო გზავნილები პასუხისმგებელი მეპატრონეობის შესახებ;
   - ევთანაზიის მეთოდები;
   - როგორ შეიძლება ისინი ჩაერთონ პოპულაციის დინამიური მართვის პროგრამაში და რა სარგებელს მოუტანს მათ ეს პროგრამა, რაც გულისხმობს ძაღლების სწორად მოვლას, რეგულარული ვეტერინარული მომსახურების ჩათვლით.

d. არსებობს საგანმანათლებლო გზავნილების გავრცელების მრავალი ხერხი, მათ შორისაა:
   - ფორმალური სემინარები და საგანგებო გაკვეთილები სკოლებში;
   - საინფორმაციო ლიფლეტები და ბროშურები სპეციალური ჯგუფებისათვის;
   - საგანმამანთლებლო შინაარსის მასალების გავრცელება პრესის, რადიოსა და ტელევიზიის მეშვეობით;
   - საჯარო დისკუსიები დაინტერესებული მხარეებისა და საზოგადოების წარმომადგენლების მონაწილეობით (იხ. შემთხვევის ანალიზი 3).

e. უნდა გავითვალისწინოთ, რომ საგანმანათლებლო პროგრამების შედეგებმა შეიძლება მოგვიანებით, გარკვეული დროის შემდეგ იჩინოს თავი. პროცესის მონიტორინგისა და მიღწეული შედეგების შეფასების მეთოდები უნდა შეიცავდეს ორივე – მოკლევადიანი და გრძელვადიანი — ტიპის ინდიკატორებს. შედეგის განხილვა შესაძლებელია სამ სხვადასხვა დონეზე: ცოდნის და უნარების შეძენა; ატიტუდების შეცვლა; ქცევითი ჩვევების საბოლოო შეცვლა.

კანონმდებლობა

ძაღლების პოპულაციის მართვის პროგრამა თანხვედრაში უნდა იყოს მოქმედ საკანონმდებლო ბაზასთან და სასურველია, კანონმდებლობა ხელს უწყობდეს ამ პროგრამას. ეს მხარდაჭერა პროგრამის გრძელვადიანი შედეგებისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია, იგი შეიძლება იყოს ძაღლების პოპულაციის მართვის ჰუმანურად განხორციელების გარანტია. საჭიროა შესატყვისი კანონმდებლობის მოძიება ცენტრალურ და ადგილობრივ დონეებზე, თანაც ხშირად ის გაფანტულია სხვადასხვა კანონებში, ინსტრუქციებში და აქტებში. სასურველია, შეიქმნას სპეციალური საპროგრამო დოკუმენტი, რომელიც ხაზს გაუსვამს საკანონმდებლო აქტების შესრულების მნიშვნელობას. ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანა უმეტესად გრძელი ბიუროკრატიული პროცესია.

ამ კომპონენტის გამოყენებისას უნდა გავითვალისწინოთ რამდენიმე მომენტი:

ა. აუცილებელია ბალანსის დაცვა ღია კანონმდებლობასა და ისეთს შორის, რომელიც სრულად ამკრძალავია და გამორიცხავს ყველა სახის სამომავლი ცვლილებებს მენეჯმენტის პრაქტიკაში

ბ. დრო არ უნდა დავიშუროთ, რათა კანონპროექტი ხარისხიანად მომზადდეს. ახალმა კანონმა სხვა ქვეყნების და პროფესიონალების გამოცდილება უნდა გაითვალისწინოს. სამუშაო პროცესში ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობას უზრუნველყოფს შეფასების სესიები, სადაც ყურადღებით განიხილება სხვადასხვა წყაროდან შემოსული წინადადებები.

ც. კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანა რთულია, ამიტომაც მომზადებული პროექტები და გეგმები უნდა იყოს აკურატული და რეალისტური. მუშაობის საბოლოო პროდუქტი უნდა იყოს გლობალური ხასიათის, საზოგადოებისათვის მისაღები კანონი, რომელიც: განსაზღვრავს ხელისუფლების პასუხისმგებლობას, ემსახურება ცხოველთა კეთილდღეობის დონის ზრდას და გათვლილა გრძელვადიან ეფექტზე.

დ. კანონმდებლობის ცვლილებების გატარებას საკმაო დრო უნდა დაეთმოს. საჭიროა დამატებითი ახსნა-განმარტებების მომზადება, რათა საზოგადოებამ შეძლოს კანონის ინტერპრეტირება.

ე. კანონმდებლობა ქაღალდზე დარჩება, თუ ის არ გატარდა და არ აღსრულდა. ეფექტური აღსრულება გულისხმობს, რომ ძალისხმევის მთავარი ნაწილი დაიხარჯება განათლებასა და კანონის მიღების გარანტიების შექმნაზე, ნაკლები – დამსჯელ ღონისძიებებზე. ახალი კანონის ირგვლივ საგანმანათლებლო სამუშაო ყველა დონეზე უნდა ჩატარდეს, დაწყებული კანონისდამცველი ორგანიზაციებით (იურისპუდენცია, პოლიცია, ცხოველთა დაცვის ინსპექტორები) და დამთავრებული შესაბამისი პროფილის პროფესიონალებით (ვეტერინარები და თავშესაფრების მენეჯერები), ძაღლების მფლობელების ჩათვლით. ზოგიერთ ქვეყანაში კანონის აღსრულებას წარმატებით ახორციელებენ ცხოველთა კეთილდღეობის ინსპექტორები — სპეციალური მომზადების მქონე თანამდებობის პირები, ვისაც შესწევს უნარი, ჩაატარონ საგანმანათლებლო საქმიანობა, მოაგვარონ ცხოველებთან დაკავშირებული კონკრეტული პრობლემები და აღასრულონ კანონი რჩევის, გაფრთხილების და დასჯის მეთოდების მეშვეობით.

რეგისტრირება და იდენტიფიცირება

პატრონისა და მისი ცხოველის დაკავშირების ყველაზე ეფექტური საშუალება არის რეგისტრირება/იდენტიფიცირება. ამ გზით იზრდება პატრონის პასუხისმგებლობის გრძნობა, რადგან ცხოველი მის საკუთრებად იდენტიფიცირდება. რეგისტრირება და იდენტიფიცირება საგრძნობლად ამარტივებს დაკარგული ცხოველების პატრონებთან დაბრუნებას და ასევე წარმოადგენს კანონმდებლობის დაცვის მტკიცე საფუძველს (განზრახ მიტოვებისა და სავალდებული ცოფსაწინააღმდეგო ვაქცინაციის შესახებ კანონების ჩათვლით).

ამ კომპონენტის გამოყენებისას გასათვალისწინებელია რამდენიმე მომენტი:

ა) ცხოველების იდენტიფიცირების რამდენიმე მეთოდი არსებობს და ისინი შეიძლება გამოვიყენოთ როგორც დამოუკიდებლად, ისე კომბინაციაში. მ მეთოდებს სამი ძირითადი პარამეტრი განასხვავებს: პერმანენტულობა, თვალსაჩინოება და ცხოველის ანესტეზირების საჭიროება ამ პროცედურის დროს. მიკროჩიპით, ტატუირებით და სპეციალური ყელსაბამებით მონიშვნა – ესაა სამი ძირითადი მეთოდი. ყველაზე მისაღები ხერხის არჩევა დამოკიდებულია ადგილობრივ პირობებსა და იდენტიფიცირების მიზეზებზე.

ბ) როდესაც საჭიროა დიდი პოპულაციის პერმანენტული იდენტიფიცირება, საუკეთესო მეთოდს წარმოადგენს მიკროჩიპი, რადგან ციფრული კოდის კომბინაციების სიმრავლე უზრუნველყოფს ძაღლების მაქსიმალური რაოდენობის დამახსოვრებას; თანაც მინიმუმამდეა დაიყვანება ადამიანური ფაქტორი (არასწორი წაკითხვა და სხვა), რადგან ჩიპების მონაცემებს კითხულობს ციფრული სკანერი. მიკროჩიპირება საინტერესოა იმითაც, რომ ეს მეთოდი გლობალურად გამოიყენება და რეგიონში თუ ქვეყანაში არსებულ ყველა

შემთხვევის ანალიზი 4
რეგისტრირება და იდენტიფიცირება ესტონეთში

ქალაქ ტალინის მთავრობამ, პირველმა ესტონეთში, შემოიღო ძაღლების სავალდებულო რეგისტრირებისა და იდენტიფიცირების სისტემა, რომელიც ამოქმედდა 2006 წლის აგვისტოში პილოტური სქემის სახით — ქალაქის ადმინისტრაციამ დაავალა კომერციულ კომპანიას, შეექმნა მონაცემთა ბაზა ცხოველებისა და მათი პატრონების იდენტიფიცირების მიზნით.

მუნიციპალური ინსტრუქციების თანახმად ყველა ძაღლი იდენტიფიცირებული უნდა იყოს იმპლანტირებული მიკროჩიპით. ინფორმაცია რეგისტრირებული ცხოველების შესახებ სპეციალურ მონაცემთა ბაზაში ფიქსირდება, რომელზეც ხელი მიუწვდება უფლებამოსილ პერსონალს, მონაცემთა ბაზის გამოყენება შესაძლებელია მთელ ესტონეთში. ბაზაში ინახება ინფორმაცია ცხოველის პატრონის, ჯანმრთელობის მდგომარეობისა და ცოფსაწინააღმდეგო ვაქცინაციის შესახებ. ეს უკანსკნელი გარემოება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ცოფის აცრა სავალდებულოა ესტონეთში, პროგრამის დახმარებით კი ცხოველის პატრონი დროულად იღებს შეტყობინებას მორიგი ან პირველადი აცრის ვადის შესახებ.

ცხოველის აღნუსხვას ემსახურება (იხ. შემთხვევის ანალიზი 4). ოღონდ, სანამ ჩიპების გამოყენება გადაწყდება, უნდა შემოწმდეს მათი ხარისხი და წაკითხვის შესაძლებლობები.

ც) აუცილებელია რეგისტრირების და იდენტიფიცირების მონაცემების ცენტრალურ ბაზაში დაგროვება და შენახვა ისე, რომ მისაწვდომი იყოს ყველა დაინტერესებული მხარისთვის (ვეტერინარებისთვის, პოლიციისა და მუნიციპალური სტრუქტურებისთვის). სასურველია ცენტრალური ხელისუფლების მხარდაჭერა, რათა შეიქმნას ინფორმაციის შენახვის ერთიანი, უნიფიცირებული სისტემა.

დ) სავალდებულო რეგისტრირება და იდენტიფიცირება ემსახურება თავშესაფრების პრობლემების გადაწყვეტას. მაგალითად, როდესაც თავშესაფარში მოყვანილი ძაღლი იდენტიფიცირებულია, ის შეიძლება პატრონს დაუბრუნდეს, რაც ორივეს აარიდებს სტრესს და სხვა პრობლემებს. თუ ძაღლი არ არის იდენტიფიცირებული, ის განეკუთვნება კატეგორიას "უპატრონო", ასეთ დროს თავშესაფარი შესაძლო პატრონის გამოჩენას აღარ ელოდება და დაუყოვნებლივ ატარებს თავის პოლიტიკას (ახალი პატრონის მოძებნა ან ევთანაზია). ორივე სცენარი იცავს თავშესაფარს გადატვირთვისგან და დადებითად მოქმედებს მის შესაძლებლობებზე.

ე) მიზანშეწონილია სარეგისტრაციო გადასახადის შემოღება (ერთჯერადი წლიური შენატანის სახით), რათა დაგროვდეს ფინანსური რესურსი პროგრამის სხვა კომპონენტებისთვის. ამავე დროს, მოსაკრებლის ოდენობა ფრთხილად უნდა განისაზღვროს – ისე, რომ ცხოველის პატრონებმა არ გადაწყვიტონ მასზე თავის არიდება. შესაძლებელია დიფერენცირებული საგადასახადო სქემების გამოყენება, რათა ადამიანებმა ძაღლების მხოლოდ მცირე რაოდენობა იყოლიონ და ხელი აიღონ მათ მოშენებაზე.

ფ) ლიცენზირების გამოყენება მართებულია იმ შემთხვევაში, როდესაც ძაღლის ყოლის უფლების მისაღებად საჭიროა გარკვეული კრიტერიუმების შესრულება. ეს უნდა ეხებოდეს მათ, ვინც მიზნად ისახავს ძაღლების გაყიდვას ან მოშენებას და ვინც განსაკუთრებული ჯიშის ძაღლებს (ე.წ. "საშიშ ძაღლებს") ფლობს. ლიცენზირება ასევე შეიძლება დაწესდეს პასუხისმგებელი მეპატრონეობის ინსტიტუტის განვითარების მიზნით – ადამიანებმა ჯერ უნდა მოიპოვონ "ძაღლის მეპატრონის სერტიფიკატი" და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღონ ლიცენზია ძაღლის ყოლაზე.

საიდენტიფიკაციო ყელსაბმის შებმა (შრი-ლანკა)

სტერილიზაცია და კონტრაცეპცია

კონტროლი რეპროდუქციაზე მიიღწევა სამუდამო ან დროებითი კონტრაცეპციის მეშვეობით. ამისათვის სამი ძირითადი მეთოდი გამოიყენება:

I. ქირურგიული: სარეპროდუქციო ორგანოების ამოკვეთა საერთო ანესთეზიის ქვეშ ქმნის სამუდამო სტერილობის გარანტიას და მნიშვნელოვნად ცვლის სექსუალურ ქცევას (განსაკუთრებით, თუ ადრეულ ასაკში კეთდება). ქირურგიული მეთოდები სწორად უნდა იქნას გამოყენებული, ზედმიწევნით უნდა იყოს დაცული ასეპტიკის (ბაქტერიული ინფიცირების რისკის გამორიცხვის/შემცირების პრაქტიკა) მაღალი სტანდარტები და ტკივილის კონტროლი. ამის შეფასება საჭიროებს ადეკვატურ პოსტ-საოპერაციო მონიტორინგს მკურნალობის მთელი პერიოდის მანძილზე. ერთი შეხედვით ოპერაცია საკმაოდ ძვირია, მაგრამ ის ცხოველის სიცოცხლეში ერთხელ ტარდება და, ამდენად, დროის ფაქტორის გათვალისწინებით შეიძლება იაფადაც წარმოჩნდეს. ეს მეთოდი მოითხოვს მომზადებულ (დატრენინგებულ) ვეტერინარებს, შესაბამის ინფრასტრუქტურას და აღჭურვილობას.

II. ქიმიური სტერილიზაცია და კონტრაცეპცია: ეს მეთოდები ჯერაც შედარებით იაფია, მაგრამ მათი გამეორება მოგვიწევს მრავალჯერ, თანაც ზოგიერთმა ქიმიურმა შენაერთმა შეიძლება ავნოს ცხოველის ჯანმრთელობას. დღეს ქიმიური სტერილიზაციის ან კონტრაცეპციის მეთოდები ვერ გვაძლევს ეფექტურობის თუ ჯანმრთელობისათვის უვნებლობის გარანტიას, განსაკუთრებით მაწანწალა ძაღლებზე გამოყენებისას. გამოკვლევები ამ დარგში გრძელდება, ეფექტური და მისაწვდომი ქიმიური სტერილანტები მომავლის საქმეა. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ქიმიური სტერილანტების უმრავლესობის მოხმარება გულისხმობს პროფესიონალი ვეტერინარების ჩართვას, კლინიკურ შემოწმებებს და რეგულარული ინტერვალებით ინექციებს, რაც ძაღლების პოპულაციის მართვის ბევრი პროგრამისათვის მიუწვდომელია. ქიმიური სტერილანტები და კონტრაცეპტივები მოიხმარება მწარმოებლის ინსტრუქციების თანახმად, მხოლოდ ასე ვიღებთ განცხადებულ ეფექტს.

III. ძუ ძაღლების ფიზიკური კონტრაცეპცია მძუვნობის დროს იზოლაციის მეშვეობით — მეპატრონეებს უნდა ვასწავლოთ, როგორ ამოიცნონ ამ პერიოდის მოახლოება და დადგომა, როგორ მოახდინონ ძუ ძაღლების იზოლაცია მთელი ამ დროის მანძილზე. ყურადღება უნდა მიექცეს ორივე სქესის, მდედრობითი და მამრობითი ცხოველების ჯანმრთელობას იზოლირების პერიოდში. საერთოდ, იზოლაცია ყველაზე იაფია და არ მოითხოვს ვეტერინარის დამატებით მომსახურებას თუ ქირურგიულ ჩარევას.

სტერილიზაციისა და კონტრაცეპციის მეთოდების გამოყენებისას უნდა გავთავალოთ, რამდენად გრძელვადიანი იქნება მათი ეფექტი, რადგან ძაღლების პოპულაციის მართვა პერმანენტული პროცესია, ეს მეთოდები ყურადღებით უნდა დაიგეგმოს. უფასო ან შეღავათიანი სერვისების შეთავაზებამ შესაძლოა დააბნიოს მეპატრონეები და გაუჩინოს მათ არარეალური წარმოდგენა სავეტერინარო დახმარების ღირებულების შესახებ.

ადგილობრივი ვეტერინარული ინფრასტრუქტურის არსებობა წარმოადგენს პატრონიანი ძაღლების ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის წინაპირობას. თუ სახეზეა ადგილობრივი, თუნდაც კერძო ვეტერინარული სტრუქტურა, უკეთესია, რომ მოხდეს მისი განვითარება-გამოყენება და არა გარიყვა. ისიც კი შეიძლება გახდეს საჭირო, რომ გავუწიოთ რეკლამირება

სტერილიზაციას და ამით გავზარდოთ ადგილობრივი ვეტერინარების "საბაზრო შესაძლებლობები". ამასთანავე, აუცილებელია მათი პროფესიული მომზადების უზრუნველყოფა (იხ. შემთხვევის ანალიზი 5).

ШЕМТХВЕВИС АНАЛИЗИ 5

ადგილობრივი დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით პოპულაციის მართვის გრძელვადიანი პროგრამის ჩატარების მაგალითი

დომინიკაში ჩატარდა ძაღლების ადგილობრივი პოპულაციის დეტალური შესწავლა, რომელიც მოიცავდა კარდაკარ გამოკითხვას და ადგილობრივი მოსახლეობის მიერ ძაღლების მიახლოებითი დათვლის შედეგების მოკრებას. ამან შესაძლებელი გახადა მაწანწალა ძაღლების პრობლემის წყაროების შესახებ მონაცემთა ბაზის შექმნა.

ქალაქის საბჭომ აღიარა, რომ ვალდებულია ჰუმანური და ეფექტური მეთოდებით შეასრულოს არსებული ადგილობრივი ინსტრუქციები ძაღლების პოპუყლაციის კონტროლის შესახებ. შემდგომ მათ მიმართეს IFW-ს, რათა მუნიციპალური პროგრამას დამატებოდა პირველადი ვეტერინარული მომსახურება (სტერილიზაციის ჩათვლით) და საგანმანათლებლო ღონისძიებები, დაფუძნებული კარდაკარ შემოვლის გზით შეფასებისა და ცნობიერების ამაღლების პროგრამების მონაცემებზე. ამის მიზანი იყო: პატრონიანი ძაღლების უკონტროლო გადაადგილების შეზღუდვა, მათი ჯანმრთელობის და მოვლის ისეთი პრობლემების მოგვარება, როგორიცაა უყურადღებობა, უმიზნოდ დაბმა და სხვა. პროექტის პრიორიტეტს წარმოადგენდა ადგილობრივი თემის ჩართვა/მონაწილეობა პროგრამაში და ვეტერინარებისათვის დახმარების გაწევა.

სატრენინგო პროგრამებმა დომინიკასა და სხვა ადგილებში შესაძლებლობა მისცა ამერიკის და ბრიტანეთის IFAW-ს, შეექმნა ინსტრუქციები მსგავსი პროგრამების მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში ჩასატარებლად.

თავშესაფრები და „გაშვილების“ ცენტრები

თავშესაფრის აშენება თავისთავად ვერ გადაწყვეტს მაწანწალა ძაღლების პრობლემას გრძელვადიან პერსპექტივაში. სინამდვილეში, თავშესაფარმა შეიძლება გაამძაფროს კიდეც პრობლემა, რადგან ის შესაძლებლობას მისცემს მფლობელებს, მოიცილონ შინაური ცხოველები მათ შენახვაზე ზრუნვის ნაცვლად. ამას გარდა, ახალიმეპატრონის მოსაძებნი (გაშვილების) ცენტრები ძვირადღირებულია და მათი მოწყობა დიდ დროს მოითხოვს. ამიტომ თავშესაფრის აშენების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე აუცილებელია სხვა ალტერნატივების განხილვა. ასე მაგალითად, დროებითი შემფარებლების ქსელი შეიძლება უფრო ეფექტური, ნაკლებად ძვირი და ცხოველთა კეთილდღეობისათვის უფრო სასარგებლო გამოდგეს (იხილეთ შემთხვევის ანალიზი 6). იმის მაგივრად, რომ მთელი ძალისხმევა მოვახმაროთ თავშესაფრის აშენებას, რომელიც ამავე დროს ცხოველთა მიტოვების სიმპტომატურ საფრთხეს ზრდის, უმჯობესია ყველაფერი გავაკეთოთ პრიორიტეტულად პასუხისმგებელი მეპატრონეობის დასანერგად. სწორედ ეს დაიცავს ცხოველებს მიტოვება/გაგდებისაგან.

შემთხვევის ანალიზი 6

აღმოსავლეთ აზიის ერთ-ერთ, მსოფლიოში მოსახლეობის რაოდენობით უდიდეს, ქალაქში სახეზეა მაწანწალა ძაღლების დიდი რაოდენობა და ფულადი სახსრების ნაკლებობა, თანაც თავშესაფრების უმრავლესობა არსებულ დატვირთვას ვერ უძლებს. მოქმედ თავშესაფრებში ფინანსური რესურსების სიმწირისა და ადგილებზე მზარდი მოთხოვნილების ფონზე დრამატულად ეცემა მოვლის სტანდარტები, რასაც თან სდევს ცხოველთა ტანჯვა და მომსახურე პერსონალის სასოწარკვეთა. ახლადშექმნილ ორგანიზაციას ალტერნატივის სახით მთელი ყურადღება გადააქვს დროებითი შეფარების მოხალისეთა ქსელის აწყობაზე, რომლის მიზანია, დროებით შეიკედლოს მიტოვებული ძაღლები და კატები. თავის მხრივ, ორგანიზაცია უზრუნველყოფს დახმარებას ცხოველთა შენახვაში, კერძოდ, ფარავს ვეტერინარული მომსახურებისა და კვების ხარჯებს. ეს გრძელდება, სანამ ცხოველები საბოლოოდ და გრძელვადიანად არ დაბინავდებიან.

პირველი წლის მანძილზე ქსელმა 40-ზე მეტი ასეთი შესაძლებლობა შექმნა და მიზნად დაისახა, შემდეგი წლისათვის ეს ციფრი 100-მდე გაეზარდა. ასეთ შემთხვევაში ცხოველთათვის ახალი პატრონების მოძებნა უმთავრესად ინტერნეტის საშუალებით ხდება და ქსელს შეუძლია, შეიფაროს ბევრად მეტი ცხოველი, ვიდრე თავშესაფარს. დროებით სახლებში ცხოველებს კარგად უვლიან და ეს სქემა ადმინისტრაციული ხარჯების შემცირების გამო ბევრად უფრო ეკონომიურია, ვიდრე თავშესაფარი. ფაქტიურად, ამ ორგანიზაციამ წარმატებას მიაღწია იმ ქალაქში, სადაც ბევრი სხვა პროექტი ჩავარდა.

როდესაც უკვე არსებობს ცენტრები, სადაც მაწანწალა ცხოველები მუდმივად იმყოფებიან და მიმდინარეობს დაკვირვება ცოფის შესაძლო შემთხვევებზე, უფრო ეკონომიური ჩანს ამ ცენტრების განვითარება და გაფართოება, ვიდრე ახლების აშენება. ეს ეხება როგორც ადგილობრივ მუნიციპალიტეტებთან არსებულ, ასევე კერძო დაფინანსებით შექმნილ თავშესაფრებს.

ამ კომპონენტის გამოყენებისას ყურადსაღებია შემდეგი საკითხები:

ა) გეგმები უნდა შედგეს ისე, რომ მათ მოიცვან რამდენიმე მნიშვნელოვანი პრობლემა, როგორიცაა: სტერილიზაცია, განთავსებისა და შეფარების შესაძლებლობები (რამდენი ძაღლია ერთ გალიაში, ცხოველთა საერთო რაოდენობა და როგორია პიკური სიტუაციის გეგმა, როდესაც ცხოველთა რაოდენობა მაქსიმუმს აღწევს) და ევთანაზია. გასათვალისწინებელია თითოეული ცალკეული ძაღლის კეთილდღეობა, შესაძლო ხარჯები, ცენტრის მიზნები, ამოცანები და ცენტრის საქმიანობის გავლენა ძაღლების რაოდენობის გრძელვადიან მართვაზე და ცხადია, პასუხისმგებელი მეპატრონეობის თემაც. ეს ის საკითხებია, რაზეც შეიძლება გავლენა მოახდინოს ემოციურმა ფაქტორებმა და მიზანშეწონილია, ცენტრის მიერ წარმოებული პოლიტიკა შეთანხმდეს ყველა თანამშრომელთან, ხოლოახალი თანამშრომლები გაეცნონ არსებული პოლიტიკის რაციონალურ ახსნას/დასაბუთებას.

მაგალითი 1: აუცილებელია ძაღლების ჯანმრთელობისა თუ ქცევის შეფასების პროცედურების შემუშავება და დანერგვა. უნდა განისაზღვროს, თუ ვინ შეიძლება იყონ პოტენციური შემფარებელი (ახალი მეპატრონე) და რეალურად რა პირობები ელით აყვანილ ძაღლებს ახალ სახლებში. წარუმატებელმა აყვანამ (შეფარებამ) შეიძლება შეარყიოს საზოგადოების ნდობა და ინტერესი ძაღლების აყვანის მიმართ.

მაგალითი 2: უნდა გვესმოდეს, რომ ზოგიერთი ძაღლის შეფარება/გაშვილება ვერ მოხერხდება მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის, ან ქცევის პრობლემების გამო. ასევე შესაძლებელია, ძაღლები აკმაყოფილებდნენ ყველა პირობას, მაგრამ მათი აყვანის მსურველთა რაოდენობა არ იყოს საკმარისი. გვახსოვდეს, რომ ძალიან ძნელია ძაღლებისათვის ნორმალური პირობების უზრუნველყოფა დიდი ხნით გალიებში ყოლისას. ასეთ სიტუაციებში ერთადერთი გამოსავალი შეიძლება იყოს ევთანაზია და ეს ეხება იმ ძაღლებსაც, რომლებსაც ჯერ კიდევ აქვთ ახალი პატრონის მონახვის შანსი. ევთანაზიის თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა, ამ მეთოდის გამოყენების პირობები ესმოდეს ყველა თანამშრომელს.

ბ) უნდა შეიქმნას სპეციალური პროტოკოლები და ჩანაწერები, სადაც აღინუსხება პროცესის ყველა ეტაპი, მაგალითად ცენტრში ცხოველის შემოსვლის დრო, ცხოველების საერთო რაოდენობა, ასევე ყოველდღიური რუტინა — დასუფთავება, კვება და გასეირნება. ეს მნიშვნელოვანია განთავსების და აყვანის დინამიკაზე დაკვირვების თვალსაზრისით.

ც) ცენტრის დიზაინი უნდა ითვალისწინებდეს ცხოველთა კეთილდღეობის მოთხოვნილებებს, როგორც ფიზიოლოგიურს, ასევე ფსიქოლოგიურს. ცენტრისათვის ადგილის შერჩევისას მხედველობაშია მისაღები ისეთი ფაქტორები, როგორიცაა მოსახლეობისათვის მისადგომობა, ნაკვეთის ფიზიკური მახასიათებლები, კომუნიკაციების (მათ შორის წყალი, კანალიზაცია, დრენაჟი) მდგომარეობა, ხმაურთან დაკავშირებული შესაძლო პრობლემები, დაგეგმვა/აშენების უფლება და შემდგომი გაფართოების შესაძლებლობები.

დ) აყვანის (შეფარების) ცენტრების დაფინანსება უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხია, რადგანაც ფინანსური რესურსის ამოწურვის გამო ცენტრის მყისიერად დაკეტვა დიდ საფრთხეს წარმოადგენს. საჭიროა კაპიტალური თუ მიმდინარე ხარჯების გათვალისწინება და ცენტრის ამოქმედებამდე ერთწლიანი დაფინანსების გარანტიის მოძიება.

ევთანაზია

თავშესაფრებისა და ახალი მეპატრონეების მოსაძებნი ცენტრების ქსელის არსებობის შემთხვევაში ევთანაზიის გამოყენება გარდაუვალია. საქმე ეხება იმ შემთხვევებს, როდესაც ცხოველი უკურნებელი სენითაა დაავადებული, მძიმედაა დაშავებული, ვერ ეგუება ცენტრში ყოფნას, ან აქვს ქცევითი პრობლემები, რაც მის გასხვისებას შეუძლებელს ხდის.

პოპულაციის მართვის წარმატებული პროგრამის საბოლოო მიზანია სიტუაციის შექმნა, როცა ევთანაზია მხოლოდ ამ ზემოხსენებულ შემთხვევებში გამოიყენება და ყველა ჯანმრთელი ცხოველი თავის ახალ სახლს პოულობს. რეალურ ცხოვრებაში ქვეყნების უმეტესობა ასეთ მდგომაროებას ერთბაშად ვერ აღწევს, ამისთვის ბევრი მუშაობაა საჭირო. საუბედუროდ, მზად უნდა ვიყოთ, რომ ზოგჯერ საჭირო გახდება ჯანმრთელი ცხოველების დაძინება, რადგან დამაკმაყოფილებელ და მისაღებ პირობებში მათი შეფარების შესაძლებლობები შეზღუდული იქნება.

ევთანაზია მხოლოდ პოპულაციის პრობლემების სიმპტომებს ებრძვის და არა მის გამომწვევ მიზეზებს. აპრიორი ის ვერ უზრუნველყოფს პოპულაციის მართვას და ძირითად ინსტრუმენტად მისი გამოყენება მიუღებელია. ევთანაზია უნდა ჩატარდეს ჰუმანური მეთოდებით, რაც იმის საწინდარია, რომ ცხოველი მოკვდება წამების გარეშე.

ქირურგიული ოპერაცია (ტაილანდი)

ვაქცინაცია და პარაზიტების კონტროლი

პრევენციული ვეტერინარული მომსახურება ემსახურება ცხოველთა ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის დაცვას და ამცირებს ზოონოზური დაავადებების საფრთხეს. ცოფსაწინააღმდეგო აცრა ძირითად პრიორიტეტად გვევლინება, მაგრამ არის სხვა დაავადებებიც, რომელთა წინააღმდეგ შეიძლება გამოვიყენოთ ვაქცინაცია და გარე თუ შიდა პარაზიტების კონტროლი შესატყვისი მეთოდებით. ასეთი მკურნალობა პასუხისმგებელი მეპატრონეობის სწავლების პარალელურად უნდა ჩატარდეს და ასევე უნდა მოიცავდეს სტერილიზაციას, კონტრაცეპციას და რეგისტრირება-იდენტიფიცირებას. ცხოველთა პატრონებს უმეტესად კარგად ესმით ვაქცინაციის და პარაზიტების კონტროლის აუცილებლობა. ასეთი მომსახურების შეთავაზება სავარაუდოდ გაზრდის იმის ალბათობას, რომ პატრონები განიხილავენ და გაითავისებენ ამ თავში მოცემულ მკურნალობის სხვა კომპონენტებსაც.

ამ კომპონენტების გამოყენების გასათვალისწინებელია შემდეგი საკითხები:

ა) რეგულარული ვაქცინაცია (განსაკუთრებით, კომპლექსური მასალით – ცოფი+სხვა დაავადება) და პარაზიტების კონტროლი ყველა ძაღლის ჯანმრთელობის საწინდარია. რეპროდუქციის უნარს მოკლებული ძუ ძაღლები დამუშავების შემდეგ შესაძლოა გამოჯანმრთელდნენ და მზად იყონ გამრავლებისთვის. ეს ნიშნავს, რომ საჭიროების მიხედვით განხილვას და დარეგულირებას მოითხოვს მზარდი რეპროდუქციის საკითხი.

ბ) სტერილიზაციისა და კონტრაცეპციის მსგავსად, პრევენციულმა მკურნალობამ შესაძლოა კიდევ ერთხელ დაანახოს ცხოველთა მეპატრონეებს, რამდენად მნიშვნელოვანია ზოგადი ვეტერინარული კონტროლი და პოპულაციის მართვის სხვა ინსტრუმენტები (რომელთა შორისაა რეგისტრაცია და იდენტიფიცირება). ყოველივე ეს იმდენად მნიშვნელოვანია ცხოველთა გრძელვადიანი კეთილდღეობის თვალსაზრისით, რომ ღირს დავფიქრდეთ, როგორ შეგვიძლია ჩავრთოთ პრევენციული სამედიცინო მომსახურების პროცესში ადგილობრივი ვეტერინარული ინფრასტრუქტურა. უფასო პრევენციულ მომსახურებას სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ; უნდა გავითვალისწინოთ ადგილობრივი ეკონომიკური სიტუაცია, რადგანაც უსასყიდლო ვეტმომსახურებამ შეიძლება გამოიწვიოს საყოველთაო ვეტერინარული დამუშავების გაუფასურება.

ც) პრევენციული მკურნალობა ეფექტურია, როდესაც ის რეგულარულად ტარდება, ამდენად საჭიროა მკურნალობის მისაწვდომობაზე ზრუნვა.

დ) პრევენციული დამუშავება შეიძლება ჩატარდეს "ბანაკებში" (მაღალი გამტარობის მქონე დროებით სამკურნალო დაწესებულებებში); ეს მშვენიერი და ეფექტური საშუალებაა იმისა, რომ ცხოველთა მეპატრონეების ყურადღება მივაპყროთ დაავადებათა პრევენციას და პოპულაციის მართვის სხვა ინსტრუმენტებს. ბანაკებში შეკრებილი დიდი რაოდენობის ძაღლებს შორის აგრესიული შეტაკებებისა და დაავადებების გავრცელების მაღალი რისკი შემცირდება, თუ სათანადო დონეზე დარეგულირდება შესაშვები/გამშვები პუნქტები, თუ ყველა ძაღლი დამუშავდება სტერილური ნემსით და თუ ავადმყოფი ძაღლები მოთავსდებიან კარანტინში. ასეთ ბანაკების მოწყობას წინ უნდა უსწრებდეს სარეკლამო კამპანია. მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ე.წ. გარკვეული დაშორების ლიმიტი — მაქსიმალური მანძილი, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეები გაივლიან ვეტმომსახურების მისაღებად. ამიტომ საჭიროა ბანაკების ოპტიმალური რაოდენობის, განლაგებისა და მისაწვდომობის წინასწარ გათვლა და გათვალისწინება.

რეგულარული პრევენციული დამუშავების ორგანიზება ხელს უწყობს არსებული პრობლემების უკეთ შეფასებას, დიაგნოსტირებას და მოგვარებას.

რესურსების ხელმისაწვდომობის კონტროლი

ძაღლებს უმეტესად უყვართ წანწალი საჯარო ადგილებში, სადაც მრავლადაა საკვები და სხვა რესურსი. იმისთვის, რომ შევზღუდოთ მათი უკონტროლო გადაადგილება, განსაკუთრებით იქ, სადაც ძაღლების მიმართ ტოლერანტობა დაბალია (მაგალითად, სკოლებთან, საზოგადოებრივ პარკებში), უნდა შევუზღუდოთ ძაღლებს ამ რესურსების მისაწვდომობა. საქმიანობა ამ მიმართულებით უნდა განხორციელდეს ძალიან ფრთხილად და მაწანწალა ძაღლების პოპულაციის შემცირებაზე მიმართულ ღონისძიებებთან ერთად. ჩვენ არ უნდა დავუშვათ ძაღლების უკიდურესი დამშევა და/ან მათი გადანაწილება სხვა, რესურსებით მდიდარ ტერიტორიებზე.

ამ მიზნის მიღწევას ემსახურება:

ა. კერძო და საჯარო ნაგვის ყუთების დროულად დაცლა
ბ. ნაგავსაყრელების ბადით ან ღობით შემოვლება
ც. კონტროლი ცხოველების გვამებისა და ნარჩენების განადგურებაზე
დ. ცხოველებისთვის მიუწვდომელი სანაგვე ყუთების (მაგალითად, მძიმე სახურავებიანი?) გამოყენება. ყუთების განლაგება იმგვარად, რომ ძაღლი მას ვერ მიუდგეს.
ე. ახსნა–განმარტებითი და წამახალისებელი საქმიანობა, რომელიც მიზნად ისახავს მოსახლეობის მიერ ნაგვის დაყრისა და გარკვეულ ადგილებში მაწანწალა ძაღლების კვების აკრძალვას.

D. ინტერვენციის მომზადება: დაგეგმვა, ამოცანების შეთანხმება და სტანდარტების შემუშავება

შეფასების ფაზის დასრულება მოასწავებს, რომ პროგრამის პრიორიტეტები და მათი განხორციელების გზები შეთანხმებულია; ამის შემდეგ აუცილებელია მომზადდეს და დაფიქსირდეს პროგრამის საერთო გეგმა.

გრძელვადიანი ეფექტის დაგეგმარება

უმრავლეს შემთხვევაში ძაღლების პოპულაციის მართვის პროგრამა მოითხოვს რესურსებით უზრუნველყოფას, თანაც ხანგრძლივად. იგულისხმება ადამიანის რესურსები, ინფრასტრუქტურა და ფინანსები. მნიშვნელოვანია შემდეგი ფაქტორების გათვალისწინება:

ა) პასუხისმგებლობა: იდეალურ შემთხვევაში აუცილებელი რესურსები გათვალისწინებული იქნება პასუხისმგებელი სახელმწიფო სტრუქტურების ბიუჯეტებში. სამთავრობო სტრუქტურებმა უნდა შეძლონ გრძელვადიანი შედეგების დაგეგმვა, რადგან მათ სამთავრობო დაფინანსება ექნებათ. ამავე დროს, არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც მზად არიან, იკისრონ პასუხისმგებლობა ძაღლების პოპულაციის მართვაზე, უნდა დარწმუნდნენ, რომ მათ არ მოაკლდებათ რესურსები და დახმარება სახელმწიფო სტრუქტურების მხრიდან, ან სხვა წყაროებიდან. არასამთავრობო ორგანიზაციებს ასევე უნდა ახსოვდეთ, რომ მათი ინვესტიცია ამ საქმეში გრძელვადიანი იქნება და რომ ნაკისრმა პასუხისმგებლობამ შეიძლება გარკვეულწილად შეზღუდოს მათი საქმიანობა სხვა მიმართულებით.

ბ) ცხოველთა პატრონების ჩართვა: ცხოველთა პატრონების პასუხისმგებლობის გაზრდაზე მიმართულმა ინტერვენციამ/მოქმედებამ, შესაძლოა, ხელი შეუწყოს პროგრამის გრძელვადიანი შედეგების მიღწევას და ამავდროულად განაპირობოს დადებითი ქცევითი ცვლილებები. მაგალითად, სტერილიზაციის პროგრამების შედეგი უფრო მდგრადი იქნება, თუ ცხოველთა პატრონებს მოვუწოდებთ, გადაიხადონ ამ მომსახურების საფასური — უფრო დაფასდება პროფესიონალი ვეტერინარის საქმიანობა და ისიც ეცდება, მისაღებ დონეზე შეინარჩუნოს სტერილიზაციის ფასი.

ც) რეგისტრირება: აღრიცხვიანობის სისტემა, რომელიც აწესებს ძაღლის ყოლაზე მცირე გადასახადს, ფართომასშტაბიანი პროგრამის სხვა კომპონენტების დაფინანსების წყაროდაც გამოდგება. თუმცა, გადასახადის ოდენობა კონტროლს უნდა ექვემდებარებოდეს, რადგან ზედმეტად მაღალი გადასახადი რეგისტრირების მაჩვენებელის შეამცირებს. სავარაუდოდ, გადასახადის დაწესება ყველა ქვეყანაში არ იქნება მიზანშეწონილი.

დ) დაფინანსების მოზიდვა: ადგილობრივ დონეზე დაფინანსების წყაროების მოძიების შესაძლებლობა რამდენიმე ფაქტორზე არის დამოკიდებული, მათ შორის — შეწირულობის გაწევის კულტურასა და ძაღლების სტატუსზე ადგილობრივ საზოგადოებაში. მოსახლეობა, ბიზნეს-წრეები, ძაღლებთან არაპირდაპირ დაკავშირებული ინსტიტუციები (ზოომაღაზიების ქსელები, ფარმაცევტული და ცხოველთა დაზღვევის დაწესებულებები) შესაძლოა, დაინტერესდნენ ძაღლებისპოპულაციის მართვის პროგრამისადმი დახმარების გაწევით, იქნება ეს ფინანსური მხარდაჭერა, თუ საკვების და მედიკამენტების მიწოდება. საერთაშორისო დონორმა ორგანიზაციებმა ასევე შეიძლება გამოყონ თანხები პროექტის

სპეციფიური ნაწილებისათვის, თუმცა უმეტესად ისინი არ აფინანსებენ გრძელვადიან სამოქმედო ხარჯებს. კიდევ ერთხელ – თითოეული ამ ფინანსური რესურსის მდგრადობა და გრძელვადიანი პერსპექტივა წინასწარაა განსახილველი.

ე) ადამიანური რესურსი: მოსალოდნელია, რომ გამოჩნდებიან ადამიანები, ვინც უსასყიდლოდ დაეხმარება პროგრამას. ზოგჯერ ეს ატარებს არაპირდაპირი დონაციების სახეს, როგორიცა საბუღალტრო მომსახურება, მარკეტინგი ან საერთო მენეჯმენტი.

პროფესიონალი ვეტერინარები უმნიშვნელოვანეს ადამიანურ რესურსს წარმოადგენენ და არა მარტო მათი სამედიცინო ცოდნისა და უნარების წყალობით, არამედ იმის გამო, რომ ვეტერინარებს შეუძლიათ გავლენა მოახდინონ ცხოველთა პატრონების ქცევაზე. შესაძლოა, კვალიფიციურმა ვეტერინარებმა გაუწიონ გარკვეული სერვისები უფასოდ, ან შეღავათიან ფასად. ვეტერინარული სასწავლებლების სტუდენტებმა ასევე შეიძლება მოისურვონ ამ პროგრამაში ჩართვა — მათთვის ეს დამატებით პრაქტიკა იქნება, ან სულაც საგანმანათლებლო კურსის ფორმალური ნაწილი (ცხადია, მხოლოდ პროფესიონალის მეთვალყურეობის ქვეშ). პროგრამის კიდევ ერთ სერიოზულ რესურსად გვევლინება მოხალისე ვეტერინარები და ვეტ-მედდები საზღვარგარეთიდან, თუმცა ანგარიშგასაწევია იმის საფრთხე, რომ კონკურენციის შიშის გამო ადგილობრივი ვეტერინარები უნდობლობით მოეკიდებიან მოხალისეებს. თანაც, ამ უცხოური რესურსის გრძელვადიანი გარანტია ასევე კითხვის ნიშნის ქვეშაა — სამგზავრო ხარჯები ხშირად ძალიან მაღალია. ამიტომ შესაძლებელია, მათი გამოყენება უფრო მართებული იყოს ადგილობრივი ვეტერინარების განათლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების დარგში.

ფ) პროგრამის მდგრადობა: თავიდანვე უნდა შემუშავდეს პროგრამის მდგრადობის უზრუნველყოფის გეგმა. ცივილიზებული მეთოდებით ძაღლების პოპულაციის მართვას აქვს დასაბამი, მაგრამ არ უჩანს დასასრული, ეს საქმიანობა მუდმივად უნდა გაგრძელდეს, თუ გვინდა, რომ სასურველ დონეზე შევინარჩუნოთ ძაღლების პოპულაცია. პროგრამის გრძელვადიანი ეფექტის მიღწევის აუცილებელ პირობებს განეკუთვნება არსებული ადგილობრივი რესურსის სრულად გამოყენება და ადგილობრივი მონაწილეობის უზრუნველყოფა. ასევე უაღრესად მნიშვნელოვანია პასუხისმგებელი მეპატრონეობის ინსტიტუტის დანერგვა და განვითარება, რადგან ცხოველთა ინდივიდუალური პატრონები ხელს შეუწყობენ პროგრამის განხორციელებას.

მიზნები, ამოცანები და საქმიანობა

პროგრამის გეგმა უნდა შეიცავდეს მიზნებისა და ამოცანების ნათლად ჩამოყალიბებულ და წინასწარ შეთანხმებულ სიას. გარდა ამისა, მოცემულ ეტაპზე მეტად მნიშვნელოვანია იმ ინდიკატორების განსაზღვრა, რომლებიც შემდგომში გამოიყენება პროგრამის თითოეული ეტაპის მიმდინარეობის ანალიზისთვის. ეს ინდიკატორები გამოიყენება პროგრამის წარმატების მონიტორინგისა და შეფასებისათვის (ნახეთ სექცია ე).

თუ ძაღლების პოპულაციის მართვაში ჩართულია რამდენიმე ორგანიზაცია, მიზანშეწონილია საერთო შეთანხმების მიღწევა იმაზე, თუ რაში მდგომარეობს საერთო/საბოლოო მიზანი და თითოეული მონაწილის როლი. ამ გეგმებს ასევე უნდა გაეცნონ პროგრამის საბოლოო ბენეფიციარებიც, როგორადაც მოიაზრებიან ძაღლების პატრონები და ყველა დაინტერესებული მხარე (გარკვეულ შემთხვევებში ეს სახელმწიფო ორგანოებსაც ეხება). იხილეთ შემთხვევის ანალიზი 7 — ძაღლების რაოდენობის მართვის პროგრამის შექმნის მაგალითი.

შემთხვევის ანალიზი 7
ინტერვენციების დაგეგმვის ეტაპები

ა. გაერკვიეთ სიტუაციაში

X მუნიციპალიტეტში, სადაც ყველაზე მაღალია მაწანწალა ძაღლების თაობაზე ჩივილების დონე, ჩატარდა გამოკითხვა. აღმოჩნდა, რომ ძუ ძაღლების მფლობელთა 50% აცხადებს, რომ ლეკვების რაოდენობა იმდენად დიდია, რომ რთულია მათთვის პატრონების მოძებნა. ისინი ამბობენ, რომ ლეკვების 45% "იკარგება". ძუ ძაღლების სტერილიზაციის დონე მხოლოდ 3% შეადგენს. პატრონები არ ენდობიან ადგილობრივი ვეტერინარების კვალიფიკაციას და შიშობენ, რომ სტერილიზაციის შედეგად შეიცვლება მათი ძაღლების ინდივიდუალური თვისებები.

ბ. ფაქტორების პრიორიტიზირება

პრიორიტეტული ფაქტორი ამ შემთხვევაში არის რეპროდუქცია – არასასურველი ლეკვების რაოდენობა მაღალია, უნდა გაიზარდოს პატრონიანი ცხოველების სტერილიზაციის მაჩვენებელი, მოგვარდეს ვეტერინარების კვალიფიკაციის საკითხი და გაირკვეს გაუგებრობა სტერილიზაციის შედეგად ძაღლების ქცევის შეცვლის თაობაზე.

ც. ამომწურავი პროგრამის კომპონენტები

კომპონენტები: ქირურგიული სტერილიზაცია ადგილობრივი ვეტერინარული ინფრასტრუქტურის მეშვეობით; ვეტერინარების ტრენინგი ქირურგიაში; მეპატრონეთა ცნობიერების ამაღლება სტერილიზაციის აუცილებლობასთან დაკავშირებით.

დ. სამოქმედო გეგმის შემუშავება

ნათლად იკვეთება მიზანი: შემცირდეს არასასურველი და დაავადების მაღალი რისკის მატარებელი მაწანწალა ძაღლების რაოდენობა ამ მუნიციპალიტეტში. ამის მისაღწევად ჩამოყალიბდა რამდენიმე ამოცანა, მათ შორის: ორი წლის მანძილზე სტერილიზირებული პატრონიანი ძუ ძაღლების წილის გაზრდა 3%-დან 50%-მდე. დაგეგმილი ზრდა 50%-მდე უკავშირდება იმ გარემოებას, რომ სწორედ პატრონების 50% უჩიოდა ლეკვების სიჭარბეს. ორი წლის ვადა კი იმიტომ დაფიქსირდა, რომ პრაქტიკული რესურსების (დაფინანსება და კლინიკის გამტარიანობა)შეფასებამ აჩვენა, რომ ეს პერიოდი საკმარისია პროგრამის ზეგავლენის გამოსავლენად.

ეს ამოცანა მოიცავს შემდეგ აქტივობებს:

- ოთხი ადგილობრივი ვეტერინარის ტრენინგს ქირურგიული სტერილიზაციის დარგში კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით. დამატებითი ბონუსი ტრენინგის მონაწილეებისთვის: 1.ვაუჩერული სისტემა, რომელიც ვეტერინარებს საშუალებს მისცემს, შესთავაზონ სტერილიზაციის სერვისი დაბალ ფასად (განსხვავებას აფინანსებს ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია); 2. მარკეტინგის მარტივი გეგმა შეღავათიანი სტერილიზაციის თემაზე.

- საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს თემატური პლაკატებისა და ადგილობრივი სათემო ქსელის გამოყენებას; საგულისხმოა ადგილობრივი რელიგიური ლიდერის თანადგომა, რომელიც განუმარტავს მეპატრონეებს სტერილიზაციის დადებით მხარეებს (ძაღლების ჯანმრთელობისა და ქცევის გაუმჯობესების თვალსაზრისით).

ცხოველთა კეთილდღეობის სტანდარტების ჩამოყალიბება

პროგრამის სტანდარტებში ნათლად იკვეთება მისი მიზანი — ცხოველთა კეთილდღეობის ოპტიმალური და შესრულებადი დონის დამკვიდრება. ურთიერთგაგების მიღწევისა და სტანდარტების უკეთ გააზრების თვალსაზრისით, უმჯობესია, სტანდარტები შეიმუშავოს ყველა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებით დაკომპლექტებულმა ჯგუფმა. გადაწყვეტილება თითოეული ცხოველის ბედის თაობაზე მიიღება უშუალოდ მისი პოზიციისა და ზოგადად ძაღლების ადგილობრივი პოპულაციის კეთილდღეობის ინტერესებიდან გამომდინარე. ასევე უნდა დადგინდეს რეგულარული მონიტორინგის პროცედურა, რომელიც უზრუნველყოფს სტანდარტების დაცულობასა და მათ პერიოდულ მოდერნიზებას.

ქვემოთ მოყვანილია ძაღლების მართვის პროგრამის სფეროები, სადაც აუცილებელია მინიმალური სტანდარტების დაწესება და დაცვა

a. ქირურგიული ოპერაციები, ასეპტიკური ტექნიკის, საანესთეზიო და სამკურნალო პრეპარატების მიცემის (ე.წ. ანალგეზია) რეჟიმის ჩათვლით
b. ძაღლების დაჭერა და ტრანსპორტირება
c. ძაღლების სახლში ყოლის და შეჯვარების პირობები
d. ახალი პატრონის მოძიების პროცედურები
e. ევთანაზია – როდის და რა მეთოდებით უნდა შესრულდეს ევთანაზია
f. მონაცემების შენახვა და მათი რეგულარული ანალიზი. ეს არ ახდენს უშუალო გავლენას ცხოველთა კეთილდღეობაზე, მაგრამ იძლევა პროგრამის იმ ცალკეული ნაწილების ამოცნობის საშუალებას, რაც საჭიროებს დახვეწას. მაგალითად, პოსტ-ოპერაციული გართულებების დიდი სიხშირე შეიძლება მიუთითებდეს, რომ დროა ვიზრუნოთ ვეტერინარული პერსონალის პროფესიულ გადამზადებაზე, ან პოსტ-ოპერაციული მოვლის მეთოდების სრულყოფაზე

ცხოველთა მეპატრონეების გამოკითხვა (დომინიკის რესპუბლიკა)

E. პროგრამის დანერგვა, მონიტორინგი და შეფასება: აღწევს თუ არა პროგრამა მიზნებს

განხორციელება

პროგრამის განხორციელებას აღარაფერი აფერხებს, როდესაც პრიორიტეტები სწორად არის შერჩეული, ხოლო დაგეგმვის ეტაპები დეტალურად განხილული. შესაძლოა, საჭირო აღმოჩნდეს პროცესის ფაზებად დაყოფა, საპილოტე სფეროების გამოყოფა და მათი შესრულების მკაცრი მონიტორინგის დაწესება – ამ გზით სირთულეები გამოვლინდება და მოგვარდება უშუალოდ პროგრამის დაწყებამდე. იმპლემენტაციის საწყის ეტაპებზე აჩქარება არაა მიზანშეწონილი. პროგრამის ყველა ძირითად მონაწილეს შორის ინფორმაციის ხშირი გაცვლა ხელს შეუწყობს მიზანმიმართულ მონიტორინგს და უზრუნველყოფს პროგრესს ადრეულ ეტაპებზევე.

მონიტორინგი და შედეგების განხილვა

პროგრამის დაწყებისთანავე აუცილებელია რეგულარულად განხორციელდეს მისი წინსვლის მონიტორინგი და ეფექტურობის შეფასება. ეს ემსახურება:

ა. შესრულების სრულყოფას — პრობლემები და მიღწევები გამომზიურდება, ხარვეზები დროულად გამოსწორდება;

ბ. ანგარიშგებას — ვაჩვენოთ დონორებს, მხარდამჭერებს და პროგრამის ყველა ბენეფიციარს, რომ პროგრამა თავის მიზნებს აღწევს.

მონიტორინგი პერმანენტული პროცესია, მისი მიზანია შეამოწმოს, რამდენად სწორად სრულდება პროგრამა, რაც ამარტივებს პროგრამის პერიოდულ კორექციას. შედეგების განხილვა/შეფასება დროდადრო, პროგრამის საკვანძო მომენტებში ტარდება, რათა გამიკვეთოს, შეესაბამება თუ არა დაგეგმილ დონეს პროგრამის გავლენა სამიზნე პრობლემებზე. შედეგების განხილვის საფუძველზე მიიღება გადაწყვეტილებები მომავალი ინვესტიციებისა და პროგრამის გაგრძელების საჭიროების თაობაზე. ორივე პროცედურა გულისხმობს სპეციალური ინდიკატორების გამოყენებას. ინდიკატორები პროგრამის დაგეგმვის ეტაპზე შეირჩევა, ეს პროგრამის მიმდინარეობის შეფასების საუკეთესო საშუალებაა (იხ. შემთხვევის ანალიზი 8).

მონიტორინგი და შედეგების განხილვა პროგრამის განხორციელების მნიშვნელოვანი ნაწილებია, მაგრამ მათ ზედმეტად ბევრი დრო არ უნდა დაეთმოს და პროცედურა ძვირი არ უნდა დაჯდეს. პროგრამის ყველა ეტაპის წარმატებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ინდიკატორების სწორად განსაზღვრას, ისე, რომ მათ მართებულად და ზუსტად ასახონ პროგრამის ფარგლებში მიმდინარე ცვლილებები. ინდიკატორების განსაზღვრისთვის აუცილებელია არსებობდეს იმის ნათელი ხედვა, თუ რაში მდგომარეობს პროგრამის მიზნები და როგორ მიიღწევა ეს მიზნები დაგეგმილი საქმიანობით.

სასურველია, მონიტორინგსა და შედეგების განხილვას ჰქონდეს წარმომადგენლობითი ხასიათი, ანუ კონსულტაციებში და რეკომენდაციების მომზადებაში უნდა მონაწილეობდეს ყველა დაინტერესებული მხარე. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ყველა მონაწილე მიუდგეს საქმეს გახსნილად და პოზიტიურად, რადგან მოვლენები ყოველთვის არ ვითარდება გეგმის თანახმად. პრობლემების და წარუმატებლობების გამოვლენა უნდა განიხილებოდეს, როგორც პროგრამის

სრულყოფის შესაძლებლობა და არა როგორც შეცდომები
მონიტორინგის და შედეგების შეფასების კონცეფცია რთული არ არის, თუმცა მოითხოვს გადაწყვეტილების მიღებას იმაზე, თუ რა უნდა შეფასდეს და გაიზომოს, როგორ უნდა შესრულდეს ეს და როგორ უნდა მოხდეს რეზულტატების ანალიზი თუ გამოყენება. უფრო დაწვრილებით ამ პრობლემების განხილვა შეგიძლიათ ნახოთ www.intrac.org

შემთხვევის ანალიზი 8
წინა ანალიზში აღწერილი პროექტის შაბლონი წარმოადგენს პროექტის ყოველი ეტაპის თითო (ჩვეულებრივ საჭიროა ერთზე მეტი) შემოთავაზებულ ინდიკატორს

	ეტაპი	ინდიკატორი	რა იზომება?
გავლენა	მუნიციპალიტეტ X-ში არასასურველ მაწანწალა ძაღლების რაოდენობის შემცირება	წელიწადში ორჯერ პოპულაციის შემოწმება – მუნიციპალიტეტ X-ში 500m^2 ფართობზე მაწანწალა ძაღლების დათვლა	ცვლილება
რეზულტატი	გასტერილებული პატრონიანი ძაღლების წილის ზრდა	რანდომულად შერჩეული მფლობელების ჯგუფის ყოველწლიური გამოკითხვა – გასტერილდნენ თუ არა მათი ძაღლები	ეფექტი
შედეგი	თვის განმავლობაში გასტერილებული და დამუშავებული ძაღლების რაოდენობა X	კლინიკური ჩანაწერები აღნუსხავს გასტერილებული ძაღლების რაოდენობას	ძალისხმევა
აქტივობა	შეღავათიანი ქირურგიული სტერილიზაციის სქემა	სქემაში ჩართული კლინიკების რაოდენობა	
ფინანსირება	ტრენერები ადგილობრივი ვეტერინარებისთვის და თანხა, რომელიც დაფარავს X სტერილიზაციის 50%-ს.		

დანართი A: ძაღლების პოპულაციის მართვის მოთხოვნილების შეფასების ინსტრუმენტები

დანართში განვრცობილია სექცია A–ში წარმოდგენილი საკითხები. თითოეული სათაურის ქვეშ მოცემულია დამატებითი კითხვები და მოსაზრებები შესაბამისი ინსტრუმენტებისა და მეთოდების ირგვლივ. ცხადია, ეს არ არის ამომწურავი და სავალდებულო სია, ეს უფრო მოწოდებაა პრობლემის განხილვისკენ.

1. განისაზღვროს ძაღლების პოპულაციის სავარაუდო სიდიდე და კატეგორიები

დამატებითი კითხვები

რამდენი ძაღლი განეკუთვნება სადღეისოდ კატეგორიებს "მაწანწალა" და "ჩაკეტილი"? გახსოვდეთ, რომ მაწანწალად ითვლება როგორც უპატრონო, ისე პატრონიანი, თავისუფლად მოხეტიალე ძაღლი

წინადადებები ინსტრუმენტებისა და მეთოდების ირგვლივ

ჩატარდეს დაკვირვება მაწანწალა ძაღლებზე და პარალელურადგამოკითხვა ადგილობრივ მეპატრონეებში მაწანწალა ძაღლების სავარაუდო რაოდენობის შესახებ (გამოკითხვის ჩატარების პერიოდში).

მაწანწალა ძაღლები ნაგვის ბუნკრეთან

2. დადგინდეს, საიდან მოდიან მაწანწალა ძაღლები, ანუ რა განაპირობებს მათ არსებობას და, თავის მხრივ, რა ქმნის ამ პირობებს?

დამატებითი კითხვები

როგორ იცვლება მაწანწალა ძაღლების პოპულაცია დროსთან ერთად და რა უწყობს ხელს მის შენარჩუნებას? შეუძლია უპატრონო ძაღლების პოპულაციას წარმატებით გამრავლება? ახერხებან თუ არა უპატრონო ძუ ძაღლები ლეკვების გამოზრდას?

აგდებენ თუ არა არასასურველ პატრონიან ძაღლებს ქუჩაში, სადაც ისინი უერთდებიან მაწანწალა პოპულაციას? უშვებენ თუ არა პატრონიან ძაღლებს გარეთ თავისუფლად სახეტიალოდ?

თუ ხდება ძაღლების გაგდება/მიტოვება, რით აიხსნება ეს? რა სახის წარმოდგენები, შეფასებები და ბუნებრივი ფაქტორები უდევს საფუძვლად ამგვარ ქცევას?

წინადადებები ინსტრუმენტებისა და მეთოდების თაობაზე

გარკვეული დროის განმავლობაში დააკვირდით ძაღლების რაოდენობას ცალკეული ასაკობრივი ჯგუფის (ლეკვი, მოზარდი, ზრდასრული) მიხედვით. გამრავლების სეზონის დროს დააკვირდით ახალშობილი ლეკვების რაოდენობას უპატრონო და პატრონიან მაწანწალა პოპულაციებში, დაადგინეთ გადარჩენის მაჩვენებელი ამ ორ პოპულაციაში.

პატრონების გამოკითხვა – მათი ძაღლები სულ სახლის თუ ეზოს ფარგლებში არიან? თვითონ ხომ არ მიუტოვებიათ/სახლიდან გაუგდიათ ძაღლი, ან ვინმე მათ ნაცნობს უქნია (თუ გამოკითხულს უჭირს მსგავსი ქმედების აღიარება)?

შესაძლოა, გართულდეს ამგვარი ქცევის გამომწვვრვი დამოკიდებულებისა და წარმოდგენების რაოდენობრივად შეფასება. დისკუსიები და ღია ფორმატის ინტერვიუები შესატყვისი გამოცდილების მქონე ჯაგუფებთან (მათ შორის ძაღლების მეპატრონეებსა და ცხოველთა ჯანდაცვის დარგის მუშაკებთან) ხელს უწყობს რეალური სურათის გარკვევას. სასურველია, ჯგუფები იყოს მცირე ზომის და არაფორმალური, ღია ყველა სახის დისკუსიისთვის.

3. რაში მდგომარეობს ძაღლების პოპულაციის კეთილდღეობის ძირითადი პრობლემები და რატომ წარმოიქმნება ეს პრობლემები?

დამატებითი კითხვები	წინადადებები ინსტრუმენტებისა და მეთოდების ირგვლივ
კეთილდღეობის დონის გაზომვა ორგვარად შეიძლება: პირველი — ცხოველებზე პირდაპირი დაკვირვების გზით, მეორე — მათი კეთილდღეობის შესანარჩუნებლად საჭირო რესურსების შეფასებით. ძაღლების პოპულაციაში კეთილდღეობის გაზომვა, განსაკუთრებით თუ საქმე მაწანწალა ცხოველებს ეხება, ნაკლებად გამოკვლეული სფეროა. ჩვენთვის, როგორც ცხოველთა კეთილდღეობის დამცველებისთვის, უაღრესად მნიშვნელოვანია, გავერკვეთ ამ საკითხებში.	
როგორია კეთილდღეობის დონე მაწანწალა ძაღლების პოპულაციაში და რამდენად მწვავეა იქ არსებული პრობლემები?	პირდაპირი დაკვირვება მაწანწალა ძაღლებზე მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის დასადგენად, რაც მოიცავს სხეულის საერთო მდგომარეობის, ბეწვის, ჭრილობებისა და კანის საფარის შემოწმებას.
კეთილდღეობის რა დონეა პატრონიანი ძაღლების პოპულაციაში და რამდენად მწვავეა იქ არსებული პრობლემები? აწვდიან თუ არა პატრონები თავიანთ ძაღლებს ყველა რესურსს, რაც მათ კეთილდღეობას ესაჭიროება?	პატრონიან ძაღლებზე პირდაპირი დაკვირვება ჯანმრთელობის დონისა და პატრონის მიმართ ქცევითი რეაქციის დასადგენად (გასარკვევია, თუ როგორ ეპყრობოდა პატრონი ძაღლს). კითხვარი პატრონებისთვის ისეთი აუცილებელი რესურსების შესახებ, როგორიცაა ჯანდაცვა, საკვები, წყალი და თავშესაფარი.
როგორია იმ ძაღლების კეთილდღეობის დონე, რომელთაც შეეხო პოპულაციის კონტროლის ღონისძიებები? მაგალითად, როგორია ძაღლების მდგომარეობა თავშესაფარში? ევთანაზიის რა მეთოდები გამოიყენება?	პირდაპირი დაკვირვება ძაღლებზე თავშესაფრებში იმავე კრიტერიუმების მოშველიებით, რაც სხვა კატეგორიის ძაღლებთან მიმართებაში. ხელმისაწვდომი რესურსებისა და გამოყენებული ევთანაზიის მეთოდების განხილვა თავშესაფრის ხელმძღვანელობასთან ერთად.
რამდენად განსხვავდება სიცოცხლისუნარიანობის დონეები ცალკეული ასაკობრივი ჯგუფებისა და განსხვავებული კატეგორიების (ჩაკეტილი, უპატრონო/პატრონიანი მაწანწალა) ძაღლებს შორის? ასეთმა კვლევამ შეიძლება გამოავლინოს კეთილდღეობის სტატუსი, რადგან საშუალოზე დაბალი სიციცხლისუნარიანობა ჯანმრთელობის დაბალი დონის ნიშანია.	ძნელია, განსაზღვრო უპატრონო მაწანწალა ძაღლების სიცოცხლისუნარიანობა ცალკეულ ჯგუფებზე ხანგრძლივი დაკვირვების გარეშე. პატრონებისთვის უნდა შემუშავდეს კითხვარი გასული ერთი წლის მანძილზე მათ კარ-მიდამოში დაღუპული ძაღლების შესახებ; ამ გზით დადგინდება, თუ როგორი იყო მათი სიცოცხლისუნარიანობა დარისგან დაიღუპნენ ისინი (პატარა ლეკვების და მოზრდილების მაჩვენებლები ცალ-ცალკე უნდა იქნას დათვლილი, რადგან სხვაობა მათ მონაცემებს შორის ჩვეულებრივ დიდია).

4. რა და რატომ კეთდება დღეს ოფიციალურად თუ არაფორმალურად ძაღლების პოპულაციის კონტროლისათვის?

დამატებითი კითხვები	წინადადებები ინსტრუმენტებისა და მეთოდების ირგვლივ
თვლიან თუ არა ადამიანები, რომ თემში არსებობს ძაღლების პოპულაციის მართვის პრობლემები? რა სირთულეებს ქმნიან თვით ძაღლები?	დისკუსიები სხვადასხვა სოციალური ჯგუფის წარმომადგენლებთან. ჯგუფები უნდა იყოს არაფორმალური, რაც მსჯელობას და კითხვა-პასუხს შეუწყობს ხელს. ადგილობრივი მმართველობის წარმომადგენლებს უნდა ვკითხოთ, რამდენი საჩივარი (ძაღლების თემაზე) შემოდის მათთან, რა სახის და საიდან.
რა კეთდება მოცემულ ეტაპზე ძაღლების პოპულაციის მართვის თვალსაზრისით?	დისკუსიები პროგრამის ყველა მონაწილესთან, რათა გავიგოთ ძაღლების პოპულაციის მართვის წარსული, დღევანდელი და სამომავლო გეგმები. აუცილებელია ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების, ვეტერინარული და არასამთავრობო ორგანიზაციების, ასევე ცხოველების მფლობელების ჩართვა.
რამდენად ითვალისწინებს არსებული კანონმდებლობა ძაღლების პოლულაციის მართვას?	შეგროვდეს ინფორმაცია ცენტრალური და ადგილობრივი სახემწიფო სტრუქტებიდან ძაღლებთან დაკავშირებული კანონმდებლობის შესახებ – შესაძლებელია, შესატყვისი კანონები არსებობდეს ერთ ან მეტ საკანონმდებლო აქტში (მაგალითად, დაავადებათა კონტროლის, ვეტერინარული ინსტუქციები, ბუნების დაცვის კანონმდებლობა)

დანართი B: დაინტერესებულ მხარეთა კომიტეტის შექმნა

ნიმუში პროცესისა, რომელიც უზრუნველყოფს ყველა დაინტერესებული მხარის პროგრამაში აქტიურად ჩართვას; შესაძლებელია ამ პროცესის მორგება სხვადასხვა მოცულობის და ზომის პროგრამებზე (მცირე სათემო მნიშვნელობის პროექტით დაწყებული და ფართომასშტაბიანი სახელმწიფო პროგრამით დამთავრებული)

- უნდა შეიქმნას სამუშაო ჯგუფი იმ პირებისგან, ვინც დაინტერესებულია, ან პასუხისმგებელია ძაღლების პოპულაციის მართვაზე (ნახეთ **ნაწილი ა**, მონაწილეთა სავარაუდო სია). სამუშაო ჯგუფი კისრულობს პასუხისმგებლობას ადგილობრივი ძაღლების პოპულაციის შესახებ წინასწარი ინფორმაციის მოგროვებასა და შეფასებაზე

- წინასწარი შეფასების დასრულების შემდეგ დასაშვებია სამუშაო ჯგუფის გარდაქმნა ფორმალურ კომიტეტად, რომელშიც წარმოდგენილი იქნება პროგრამის მონაწილე თითოეული სუბიექტი. კომიტეტმა აუცილებლად უნდა შეიმუშავოს: უფლებამოსილებათა ჩამონათვალი, წევრების სია (წევრთა როლის განსაზღვრით), რეგულარული შეხვედრების

განრიგი, სამოქმედო გეგმის განახლების სქემა და ნათელი მიზანი. პრინციპულად შესაძლებელია, რომ კომიტეტის მოდელი დაეფუძნოს მსგავსი ტიპის არსებულ მოდელებს, თუნდაც ადამიანის ჯანდაცვის სფეროში მოქმედ სქემებს. უფრო მეტიც, მართებული იქნება ადამიანის ჯანდაცვის სფეროს ანალოგიური კომიტეტების გამოცდილი წევრების მოწვევა ძაღლების პოპულაციის მართვის კომიტეტში

- კომიტეტის თითოეული წევრი წარმოადგენს შესაბამისი დაინტერესებული მხარის საჭიროებებს ძაღლების პოპულაციის მართვასთან დაკავშირებით. მაგალითად: ჯანდაცვის ორგანიზაციები შეიძლება დაინტერესდნენ ზოონოტური დაავადებების კონტროლით, ცალკეულმა არასამთავრობო ორგანიზაციამ მოითხოვოს სპეციფიური ცხოველთა კეთილდღეობის საკითხების მოგვარება, მუნიციპალიტეტის საბჭომ ჩათვალოს საჭიროდ ანგარიშებისა და მოხსენებების რაოდენობის შემცირება. წინასწარი შეფასების ფარგლებში მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე შეიძლება ჩამოყალიბდეს ამოცანების სია, რომელიც მოიცავს თითოეული მონაწილის მოთხოვნებს. სწორედ ამის საფუძველზე შემუშავდება პროგრამის საერთო გეგმა, რომელიც გაითვალისწინებს თითოეულ ამოცანას (ნახეთ **ნაწილი დ** გეგმის ჩამოყალიბების ინფორმაციისათვის).

- უნდა განხილულ და დამტკიცებულ იქნას ფინანსური უზრუნველყოფის და მატერიალური პასუხისმგებლობის პირობები, რაც უზრუნველყოფს პროგრამის წარმატებას როგორც მოკლე, ისე გრძელვადიან პერსპექტივაში

- უნდა ერთმნიშვნელოვნად განისაზღვროს კომიტეტის თითოეული წევრის პასუხისმგებლობა პროგრამის განხორციელების, მონიტორინგისა და შეფასების პროცესში. პროგრამის დაწყებისთანავე საჭირო იქნება რეგულარული შეხვედრები მიმდინარე პროცესების მონიტორინგისა და შეფასების რეზულტატების განხილვის, ასევე, საჭიროებისამებრ, პროგრამაში სათანდო ცვლილებების შეტანის მიზნით.

რჩევები კომიტეტის ფუნქციონირების გასაუმჯობესებლად:

- სემინარები და სამუშაო შეხვედრები გადამწყვეტ მომენტებში ახალი იმპულსებით გაამდიდრებს პროგრამას (ეს დაგეგმვის სტადიასაც ეხება). გარკვეულ შემთხვევებში შეიძლება სპეციალური ცოდნისა და ექსპერტიზის დონის მქონე სტრუქტურების მოწვევაც.

- როლების და ფუნქციების დაზუსტება შესაძლებლობების რეალურ სურათს ქმნის. ეს უპირატესად ეხება ადმინისტრირების სფეროს (შეხვედრების ორგანიზება, ჩანაწერების გაკეთება და სხვა). სასურველია ამ როლების რეგულარული რევიზია და როტაცია.

- კომიტეტის მუშაობა უნდა იყოს შეძლებისდაგვარად გამჭვირვალე, რაც გაზრდის საზოგადოების ნდობას პროგრამისადმი.

- კომიტეტის საქმიანობაში გარდაუვალია განსხვავებული და დაპირისპირებული პოზიციების წარმოშობა. აუცილებლად უნდა შემუშავდეს შეთანხმება ასეთ სიტუაციებში ქცევის წესების შესახებ, რაც, უდავოდ, წაადგება მუშაობის ერთსულოვანი დინამიკის შენარჩუნებას.

კომპანიონ ცხოველთა მართვის საერთაშორისო კოალიცია – ICAM Coalition